საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 13 აგვისტო, 2013 წელი.

№153 (7280)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიერებით ბუერთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ნოქალაქევიდან დაიწყო...

ბიძინა ივანიშვილი:

საქართველოს პრეზიდენტი ზეკაცი არასოდეს იქნება!

საქართველოში დაიმსხვრევა სტერეოტიპი, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი ზეკაცია, რომელიც ყველაფერს ჩვენს მაგივრად გადაწყვეტს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ნოქალაქევში, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის გახსნისას განაცხადა. მისი თქმით, გიორგი მარგველაშვილი იქნება ყველას პრეზიდენტი.

— ისევ საარჩევნო კამპანიის რეჟიმში ვხვდებით ერთმანეთს, ისევ გამარჯვებისთვის ვემზადებით. ჩვენი შეხვედრისთვის შევარჩიეთ ეს ისტორიული ადგილი, საიდანაც საქართველოს გამთლიანება დაიწყო. ქართველ საზოგადოებას, ჩვენს ამომრჩეველს კიდევ ერთხელ მინდა წარვუდგინო „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც ჩვენი საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელია და ევროპული ყაიდის ლიდერია. ვარღვევთ წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულ სტერეოტიპს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ზეკაცია, რომელიც ყველაფერს ჩვენს მაგივრად გადაწყვეტს. ევროპაში ეს ასე არ არის. უნდა დავამსხვრიოთ ეს მახინჯი სტერეოტიპი. ქვეყნის პრეზიდენტად უნდა ავირჩიოთ ნამდვილად ევროპულად მოაზროვნე ადამიანი, რაც დაამთავრებს საქართველოში ერთი კაცის ჭკუაზე ქვეყნის მართვას, ერთი კაცის იმედად ყოფნას და ყველას დაანახვებს, რომ ჩვენც შეგვიძლია დემოკრატიული პრინციპებით აზროვნება და სახელმწიფოს შენება, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, გიორგი მარგველაშვილი არასდროს გამოკიდებია თანამდებობას.

— ის ჩვენი საზოგადოების წევრია. ის ერთ-ერთი ჩვენგანია, რომელსაც მომდევნო 5 წლით ავირჩევთ და ხალხის სამსახურში ჩავაყენებთ. ის არასდროს გამოკიდებია თანამდებობას და მას მაღალი თანამდებობის გარეშეც ღირსეული ადგილი უჭირავს ჩვენს საზოგადოებაში. გიორგი მარგველაშვილი არის ჩვენი თანაგუნდელი და გამორჩეული ადამიანი, რომელსაც არასდროს უღალატია პიროვნული თავისუფლებისთვის. ის არ ერიდება თამამ გადაწყვეტილებებს და გაბედული კაცია. მიუხედავად იმისა, რომ ის ახლოს იყო პოლიტიკასთან, ვერავინ დასწამებს, რომ პოლიტიკური ინტრიგების მონაწილე იყო. ის არც ერთი პარტიის წევრი არ არის. დარწმუნებული ვარ, რომ ის ყველას ინტერესების დამცველი იქნება. ყველას პრეზიდენტი იქნება, — აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის შემდეგ ხალხს თვით პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა მიმართა.

„ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კამპანია შთამბეჭდავად, დამაჯერებლად დაიწყო...

მამუკა ვაშაკიძე

მართლაც, სად ერეკლე და სად... თეკლე?!

2

ირაკლი კაკაბაძე:

გამოსავალი ერთადერთია: საერთო სახალხო აჯანყება და მიშას ბანდის გასამართლება!

3

არის თუ არა მოსკოვის სამიტის ჩაშლა სალი გადაწყვეტილება?

8

კანონიერი ქურდობა მკაცრად ისჯება!

4

ჭკუისა და სინდისის გამოცდის ჟამი

9

დიდი ძმა პრიზმიდან დაგყურებს...

7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ თვითლუსტრაცია

ასეთთან „ულრუბლო“ თანაარსებობა არ გინდა?

ანუ, მართლაც, სად ერეკლე და სად... თეკლე?!

რომელიმე ქვეყნის ელჩი რომ იტყვის, ჩემი ქვეყანა ამა თუ იმ ფაქტის გამო შეშფოთებულიაო, ამ დიპლომატიური შეფასების მიღმა უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი, ეს ქვეყანა, სულ მცირე, ამის თაობაზე მტკიცეა პროტესტს გამოთქვამს.

ამის გათვალისწინებით, როდესაც ბათუმში აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდზე გამართული მიღების დროს მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის შეფასებისას რიჩარდ ნორლანდმა თქვა, რომ **„საქართველოს პრეზიდენტი ერთობ ემოციურად არის განწყობილი მიმდინარე მოვლენებზე“,** თქვენი აზრით, მკითხველო, რა უნდა ვიგულისხმოთ ამ შეფასებაში?

მით უფრო, როდესაც ვიცით, რომ მეტისმეტი ემოციურობა ლამის იმდენად ორგანულადაა დამახასიათებელი მავანის ერთგვარი ფსიქიკური მდგომარეობისთვის, როგორც **თანსინადეფსიანობა (თანდაყოლილი სინდის-ნამუსის დეფიციტის სინდრომიანობა) — გნაცმოძრაობისთვის.**

ნორლანდი დიპლომატია და თავის თავს უფრო „გაშიფრული“ განცხადების გაკეთების უფლებას ვერ მისცემდა.

მართალია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ეს გაწონასწორებული, ინტელიგენტურ-ინტელექტუალური კაცი და გამართული პოლიტიკოსი, დიპლომატი არ არის (ყოველ შემთხვევაში, ამჟამინდელი სამსახურებრივი მდგომარეობით), მაგრამ რაიმე ფაქტ-მოვლენის შეფასებისას არც მას აკლია დიპლომატიურობა. ამიტომაც ზოგჯერ ისიც საკმაოდ „დაშიფრულად“ კი ლაპარაკობს, მაგრამ მის კომენტარებში ერთგვარი „ღიაობა“ მაინც იგრძნობა:

„სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტმა, — თქვა მან, — **დღეს კიდევ ერთხელ შეძლო, დაერღვია ყველა წესი და რიგი ასეთი შეხვედრებისა.** ოფიციალური გამოსვლის შემდეგ მეც მომიწია გარკვეული მობოდიშება ჩვენი სტუმრებისთვის, ვინაიდან ასეთ ღონისძიებას თავისი ფორმატი და თავისი თემატიკა აქვს. სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტი ამ ყველაფერს დიდი ხანია, აღარაფრად დაგიდევთ. ამიტომ მან სრულიად უადგილო თემები წამოსწია, მაგრამ ჩვენ ამას მიჩვეულნი ვართ, თუმცა, უბრალოდ, არ ველოდი, რომ ჩვენი სტუმრების თანდასწრებით გააკეთებდა ამას. მაგრამ, მე მგონი, უკვე ყველა გაგებით ეკიდება ასეთ მოვლენებს“...

ვაი ასეთ „გაგებას“ და ვაი ჩვენს პატრონსაც ასეთის არჩევა-ატანისთვის!

უცხოელი რომ ჩვენის, რბილად თუ ვიტყვით, სიშლეგე-არშესატყვისობას „გაგებით მოეკიდება“, ლამის კაუჭს არ უნდა ვეკიდებოდეთ თოკით?!

არსებამ არ იცოდე, სად, ვისი თანდასწრებით, რა და როგორ თქვა, პირველკაცობას კი თავგამოდებით ეპოტინებოდე და არ გეთმობოდეს?

მე თუ მკითხავთ, ესეც ერთგვარი გამოვლინებაა ზოგიერთი ადამიანის ასევე ერთგვარი ფსიქიკური მდგომარეობისა და თავისებური თვითლუსტრაციაც გახლავთ!

არ გინდა ასეთთან ყდაბაღებული კოაბიტაცია, ანუ თანაარსებობა, თანაც „ულრუბლო“?

მართლაც, სად ერეკლე და სად... თეკლე?

რუსლან რუსია

◎ ინფორმაცია

ზურაბ ხარატიშვილმა თანამდებობა დატოვა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ცესკოს მდივანმა გიზო მჭედლიძემ განუცხადა, ხარატიშვილმა პარლამენტს შესაბამისი განცხადებით უკვე მიმართა. მჭედლიძის ინფორმაციით, ზურაბ ხარატიშვილმა განცხადება გუშინ დაწერა.

საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებით, ცესკოს ახალი თავმჯდომარის შესარჩევად პრეზიდენტმა კანდიდატები ცესკო-ს ოპოზიციურ ფრთას უნდა წარუდგინოს.

თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით, კანონი შემდეგ წესებს ადგენს: თავმჯდომარე აირჩევა პრეზიდენტის წარდგინებით, ცესკოში პარტიების მიერ დანიშნული წევრების (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა) ან პარლამენტის მიერ.

კანონის თანახმად, ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 30 დღისა, ხოლო უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში — შეწყვეტიდან არა უგვიანეს 15 დღისა, პრეზიდენტი, ადგილობრივ არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ, თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს სამ კანდიდატურას წარუდგენს.

თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას კანდიდატურების წარდგენიდან 5 დღის ვადაში იღებენ ცესკო-ში პარტიების მიერ დანიშნული წევრები — გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა.

ცესკოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით კენჭისყრა ფარულია. კენჭისყრაში მონაწილე ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. სამივე კანდიდატს ერთდროულად ეყრება კენჭი. ცესკო-ს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ რომელიმე კანდიდატმა მიიღო 4 ან 4-ზე მეტი ხმა.

თუ კანონით განსაზღვრულ ვადაში ცესკოს თავმჯდომარე ვერ აირჩა, წარდგენილი 3 კანდიდატურიდან პარლამენტი, პრეზიდენტის წარდგინებით, იმავე კანდიდატებისგან 7 დღის ვადაში ირჩევს ცესკოს თავმჯდომარეს.

ვინ – კონკურსით, ვინ – ნაცნობობით

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში მოქმედი საჯარო დაწესებულებიდან მთლიანობაში სულ ცოტა 5 638 თანამშრომელი დაითხოვეს, — ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ კვლევაში, რომლის პრეზენტაციაც გუშინ გაიმართა.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ხელმძღვანელმა ეკა გიგაურმა განაცხადა, დასახელებული ციფრიდან 2 336, ანუ 41%-მა სამსახური საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა, რაც ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ ხშირ შემთხვევაში საჯარო მოხელეები საკუთარი ნებით სულაც არ ტოვებდნენ სამსახურს. „საერთაშორისო გამჭირვალობას“ კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ საჯარო სამსახურში 7 800 ახალი თანამშრომელი მიიღეს და აქედან მხოლოდ 4%, ანუ 257 დაინიშნა კონკურსის მიხედვით. იმ საჯარო უწყებებიდან, კი რომლებმაც „საერთაშორიო გამჭვირვალობას“ საშტატო ნუსხები მიაწოდეს, საერთო ჯამში თანამშრომელთა 11% გაათავისუფლეს.

ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებიდან სულ 3 769 მოსამსახურე გათავისუფლდა, ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებებს შორის ყველაზე მეტი საჯარო მოსამსახურე შემდეგი სამინისტროებიდან გათავისუფლდა: შს სამინისტრო — 897, ჯანდაცვის სამინისტრო — 883, თავდაცვის სამინისტრო — 690, იუსტიციის სამინისტრო — 567 და ფინანსთა სამინისტრო — 278.

ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებებიდან სულ 1 769 მოსამსახურე გათავისუფლდა, აქედან ნახევარზე მეტი — საკუთარი განცხადების საფუძველზე. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანგარიშშია აღნიშნული, გათავისუფლებების ტალღა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაიწყო და ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტილებები პოლიტიკურად მოტივირებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

როგორც ეკა გიგაურმა აღნიშნა, გამოიკვეთა, რომ ბევრმა მოქალაქემ, სამწუხაროდ, არ იცის თავისი უფლებების შესახებ, როდესაც მათ აწერინებდნენ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებას.

ინტერპრესი

◎ პროტესტი

რუსების მხრიდან პროვოკაციები გრძელდება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სოფელ ქვეშთან მომხდარ ინციდენტს მკაცრად გმობს და რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის პროვოკაციულ ქმედებად აფასებს.

როგორც საგარეო უწყების ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, ამ ქმედების მიზანია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული მძიმე ვითარების შემდგომი დესტაბილიზაცია და ქართული მხარის პროვოცირება.

— 2013 წლის 10 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მობილური ეკიპაჟი ახორციელებდა რეგულარულ პატრულირებას გორის რაიონის სოფელ ქვეშში, საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, როდესაც რუსეთის სამხედრო ძალების მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან განხორციელდა გასროლა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მკაცრად გმობს რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის პროვოკაციულ ქმედებას, რომლის მიზანია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული მძიმე ვითარების შემდგომი დესტაბილიზაცია და ქართული მხარის პროვოცირება. მსგავსი უკანონო ქმედებები იწვევს განსაკუთრებულ შეშფოთებას იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არ არსებობს უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები და რუსეთი კვლავ აცხადებს უარს, აიღოს ძალის გამოუყენებლობის სამართლებრივი ვალდებულება საქართველოს ცალმხრივი ვალდებულების საპასუხოდ, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის მეხუთე წლისთავზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს პროვოკაციული ქმედებები, შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობები და საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულებები, — აღნიშნულია განცხადებაში.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● საქართველოს მთავარ პროკურატურას „შენგელიძე მაროს“ სახელი მიენიჭა.

● ვინც დამნაშავეებს ვერ იჭერს, იგი „კაიჩიტს“ დაიჭერს (შუმერული ანდაზა).

● ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური დ.ა.შ „დამცველი“ გოგონები ასე რომ არიან „ჩაფრენილები“ სხვადასხვა კონსტიტუციებს, რეზოლუციებს დ.ა.შ და არ დადიან კაფეებში, კინოში, კლუბებში, ნეტა რისი ბრალია? და საერთოდ ძალიან მაინტერესებს, რატომ უნდა უნდოდეთ ახალგაზრდა გოგონებს (ბიჭებსაც) ტელეკამერებთან ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკი ყოველ დილით იმის ნაცვლად, რომ დაქალებთან ბიჭებზე იჭორაონ, ტელეფონებზე რეკონ, ყავა და კოქტეილი დალიონ, იმაზე ფიქრობენ, თუ რას იტყოდა ბუკიკიო ციხის მაყურებლების ინსტიტუტზე, მარგველაშვილის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე დ.ა.შ (თუთბერიძის საკითხი დიდი ხანია გარკვეულია, დანარჩენები რატოოოომ? ცოდნი არიან).

● А танцы будут? — იკითხა მიშამ. танцуют все! — მიუგო დიმამ.

● ერთხელ მიშამ მაშინდელ ოპოზიციას დასცინა — მე რომ ახლა ოპოზიციაში ვიყო, ამ ხელისუფლებას 3 თვეში დავამხობდიო. ეს ისე გამახსენდა, თორე დღევანდელი დიიიიდხელფასიანი, მკვლელებთან მეკოჰაბიტირე, პორნო ლიტერატურის პროპაგანდისტი, ბუსუსებიან პრეზერვატივებზე მზრუნველი დ.ა.შ ხელისუფლება უკვე ფეხებზე მკიდია.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ირაკლი კაკაბაძე: გამოსავალი ერთადერთია: საერთო სახალხო აჯანყება და მიშას ბანდის გასამართლება!

— დიახ, გამოსავალი არის საერთო სახალხო აჯანყებაში, რომელიც მიშას და მის ბანდას ჩაუშესკუს ან ფუხიმორის სტილში გაასამართლებს — ამბობს ირაკლი კაკაბაძე. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები შემოდგომაზე სახალხო აჯანყების მოწყობის პირობას დებენ. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. არაძალადობრივი აჯანყების ორგანიზატორი პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძე და გიორგი კორკოტაშვილია. ამის მიზეზი ბაჩანა ახალაიას გამამართლებელი განაჩენი გახდა. ირაკლი კაკაბაძე თვლის, რომ ბაჩო ახალაიას გამართლება არის ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ ქვეყანაში არაფერი შეცვლილა, და, რომ რეჟიმი ისევ ინარჩუნებს ძალაუფლებას.

For.ge ირაკლი კაკაბაძეს ესაუბრა.

— თქვენ დააანონსეთ არაძალადობრივი სახალხო აჯანყება. ამბობთ, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ სამართლიანობის მოლოდინშია, სხვა გზა, გარდა სახლხო აჯანყებისა, არ დარჩა. ნუთუ მართლა გამოსავალია საერთო სახალხო აჯანყება?

— თუ ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა, ხალხი თვითონ გამოვა ქუჩაში. მნიშვნელოვანია რას დააპირებს საქართველოს მოსახლეობის 95%, რომელიც გამწარებულია, გამწარებულია იმ 10 წლის განმავლობაში განხორციელებული ძალადობის გამო. ქართველი ერი მოექცა უარეს მონობაში, ვიდრე იყო საბჭოთა კავშირის დროს. ჩვენ საბჭოთა კავშირთან იმიტომ არ გვიბრძოლია, რომ უარეს მონობაში ამოგვეყო თავი. მოსახლეობის 90% ისევ იმ დგომარეობაშია, რომელშიც იყო, ახლა ვხედავთ, რომ 75 ათასი ოჯახი უსახლკაროდ რჩება და კიდევ მეტი ადამიანი ცხოვრობს სიღატაკის ზღვარს მიღმა. ეს გაუგონარი ვითარებაა.

აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ ხალხის მოთმინების ფიალაც აივსება, თუ არ დაიწყება სამართლის აღდგენა და დამნაშავეების დასჯა, ისეთების როგორიც არიან გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, ზურაბ ჟვანიასი და სხვა უდანაშაულო ადამიანის მკვლელები. თუ არ გაიხსნება ეს საქმეები და მათ შორის არ აღდგა ეკონომიკური სამართალი, ხალხს თუ არ დაუბრუნდა წართმეული ქონება, რომელიც დაკარგეს საკაშვილის პერიოდში, ხალხის პროტესტი გარდაუვალია.

— სამართლის აღგდენის თვალსაზრისით მიმდინარე პროცესები, თვლით რომ არაა დამაკმაყოფილებელი?

— როგორ შეიძლება ეს გვაკმაყოფილებდეს. რაღაცა მასკარადი, ცირკი მიმდინარეობს. ეს არაა სერიოზული პროცესი. იმედია, რომ რადგან ჯერ კიდევ სააკაშვილს აქვს ხელისუფლება, წასვლის შემდეგ, ანუ 27 ოქტომბრის მერე რაღაცა დაიწყება.

— გადაწყვეტილება საერთო სახალხო აჯანყების შესახებ მიიღეთ მას შემდეგ, რაც ბაჩო ახალაიას მიმართ დადგა გამამართლებელი განაჩენი. როგორ ფიქრობთ, ბრალდების მხარეს წარმოდგენილი ჰქონდა მტკიცებულება, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა?

იურისტები განმარტავენ, რომ ამ საქმეზე ბრალდების მხარემ ვერ დადო მყარი მტკიცებულება, რომელიც ამხელდა ახალაიას ამ დანაშაულში...

— დამპალ სისტემასთან გვაქვს საქმე. როდესაც ასეთი ოლიგარქიული სისტემა გვაქვს, რომელიც პოლიციურ სახელმწიფოდ იქცა, თავისთავად, სისტემაა დამპალი. ცხადია, პოლიციურ-ოლიგარქიული სახელმწიფო ბაჩანა ახალაიას ვერ გამოუტანს განაჩენს, რადგან ახალაია ზუსტადაც, რომ ოლიგარქიულ-პოლიციური სახელმწიფოს ყველაზე ერთგული დამცველია. თვითონ სახელმწოფო უნდა შეცვალო, ტრანსფორმაცია უნდა განიცადოს და გახდეს ხალხის სახელმწიფო და არა ქონების სახელმწიფო. აი, მაშინ, უკვე, აღსდგება სამართლიანობა.

სასამართლო ხელისუფლებამ დიდი დანაშაული ჩაიდინა. აქ პროკურატურაზეცაა პასუხიუსმგებლობა, რადგან ბრალდება, რომელიც ბაჩო ახალაიას შარშან ნოემბერში წაუყენეს, იყო დაუსაბუთებელი, მაშინ, როცა ამდენი დასაბუთებული ბრალდება დევს ახალაიას მისამართით. ფაქტია, რომ პროკურატურამ ძალიან სუსტად იმუშავა და რეალურად, სასამართლოზე მეტად მიქარა. ბრალდება იყო სრულიად მოუმზადებელი. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ პროკურატურაში დღეს ძალიან მძიმე სიტუაციაა და სასწრაფოდ საჭიროებს რეფორმირებას, რათა ახალაიასნაირი ჯალათები პროკურატურის უმაქნისობის გამო არ გამოჩნდნენ გმირებად.

სისტემა თავისთავად არის ძალიან ბოროტი. ხალხის საწინააღდეგო პოლიციური სისტემა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იცავს მდიდრების ქონებას. არანაირ ანგარიშს არ უწევს უბრალო ადამიანების ცხოვრებას. ადამიანის ცხოვრება ბევრად უფრო ნაკლებად ღირებულია, ვიდრე, ვიღაცა მდიდარი ტიპების ქონება. ამას აკეთებს პროკურატურა, ამას აკეთებს სასამართლოც და სამწუხაროდ, ძალიან ბევრი პოლიტიკოსი.

სანამ საქართველოში ასეთი ნეოლიბერალური, დამპალი პოლიციური სისტემა იქნება, მანამდე სამართალი არ იქნება. უნდა დაიწყოს ამ სისტემის ტრანსფორმირება. ჩვენ გვჭირდება სახალხო დემოკრატია, საქართველოში დღეს-დღეობით არის დამპალი ელიტების ბატონობა, რომლებიც ხალხს პარავენ ფულს და ამ მოპარული ფულით ცხოვრობენ. ხალხისგან მოპარული ქონებით ცხოვრობენ. ქურდები მართავენ დღეს საქართველოს. არა მარტო ნაციონალების, ქურდების ხელშია დღეს საქართველო. რეალურად ჩვენთან არის ქონების რესპუბლიკა. პრაქტიკულად, არაფერი შეცვლილა. იმედი მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილი ამას იანვრიდან შეცვლის. იმედი მაქვს, რომ შეიცვლება არა მხოლოდ საკადრო პოლიტიკა, არამედ სტუქტურული პოლიტიკა.

არის მოლოდინი, რომ „ნაციონალები“ და „ოცნება“ გადაინაწილებენ პირველ და მეორე ადგილებს, თუ ასე მოხდა, მაშინ სახეზე იქნება კიდევ ერთი დანაშაულებრივი გარიგება და ხალხი ამაზე პასუხს მოსთხოვს ორივე ძალას ერთად. თუ მათი საპრეზიდენტო კანდიდატები პირველ მეორე ადგილზე გავიდა, მაშინ აშკარა გარიგებასთან გვექნება საქმე და ამაზე ხალხი გამოვა.

ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ აჯანყების აუცილებლობა არ იქნება და მოხდება სისტემის ტრანსფორმაცია. სამწუხაროდ, დღეს მიმდინარე პროცესები ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა, თუმცა, იმედი მაქვს, რომ ოქტომბერში ქართველი ხალხი თავის ხმას გააგონებს ხელისუფლებას და ხელისუფლება დასკვნებს გააკეთებს.

— თქვენ ახსენეთ კოჰაბიტაცია და სხვათა შორის ბაჩო ასალაიას გამამართლებელი განაჩენი, მათ შორის მერაბიშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, ბევრმა ჩათვალა, რომ ეს არის კოჰაბიტაციის შედეგი. კოჰაბიტაციის რეჟიმში ყოფნა იმ ადამიანებთან, რომლებიც მხილებული არიან კორუფციაში, მკვლელობაში, პატიმართა უფლებების დარღვევაში და მეტიც, გაუპატიურებაში, რამდენად სწორია?

— უკვე ძალიან ბევრს ეპარება ეჭვი „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრის პატიოსნებაში... იგივე კობა დავითაშვილის განცხადება იყო დროული და იმედი მაქვს, რომ „ქართული ოცნება“ უარს იტყვის ამ პროცესზე 27 ოქტომბრის მერე მაინც. ბერლუსკონის 4 წელი მიუსაჯეს, მაგრამ არავის მოუთხოვია კოჰაბიტაცია გააკეთეთ ბერლუსკონთანო. სარკოზის წინააღმდეგაც არის საქმე აღძრული და ა.შ. ეს არის დემოკრატიული პროცესის ნაწილი. აქედან გამომდინარე, ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ამ შემთხვევაში, დანაშაულებრივია, თანაცხოვრების და სექსუალური თანაცხოვრების აღმნიშვნელი ტერმინის კოჰაბიტაციის გამოყენება დანაშაულებრივი გარიგების გასამართლებლად.

— დღეს არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არაძალადობრივი სახალხო აჯანყება ადეკვატურია იმ რეალობის, რაც ხდება ქვეყანაში?

— საერთოდ, თუ ასე გაგრძელდა და იანვრამდეც ასე დარჩა, რა თქმა უნდა, ეს იქნება ერთადერთი ადეკვატური პასუხი. თუ არადა, ქართველი ხალხი იქნება ისეთ მონობაში, როგორშიც არასოდეს არ ყოფილა.

— იმ შემთხვევაში თუ დაიწყო არაძალადობრივი აჯანყება, ირაკლი კაკაბაძე იქნება მისი ლიდერი?

— დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ მონაწილე ნამდვილად ვიქნები, მაგრამ ლიდერი ვინ იქნება, ამას ხალხი იტყვის. საერთოდ, არც არის მნიშვნელოვანი ვინ იქნება ლიდერი. მეც ისევე ვარ გამწარებული, როგორც ჩვენი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა და ისევე მტკივა გული ამ საშინელებაზე რაც ხდება. კონკრეტულ სიტუაციაში ვინ რა როლს შეასრულებს, ამაზე ახლა ნუ ვილაპარაკებთ. ვილაპარაკოთ მაშინ, როცა ეს ფუნქცია გადანაწილდება და ყველა თავის როლს შეასრულებს.

ეს პოლიციურ-ნაციონალური სისტემა არის დამპალი. ძირფესვიანად უნდა შეცვლა და არა ის, რომ არჩევნებში ერთმა პარტიამ მოიგო და მეორემ წააგო, — ეს სასაცილოა. სისტემას სჭირდება ძირეული შეცვლა, რომ აღსდგეს სოციალურ-ეკონომიკური სამართლიანობა. იმ უსამართლობაზე, რომელიც ხდება ძვეძანაში, მთავარი მოძმედი პირი არის მიხეილ სააკაშვილი. როცა სააკაშვილი არ იძნება და თუ იგივე შედეგები გვეძნა, მაშინ უკვე პასუხი მოეთხოვება ამ ხელისუფლებას.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

არა! ერთსქესიან ქორწინებას!

„ძრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე და მოძრაობის ლიდერები საქართველოს კონსტიტუციაში ტრადიციული ქორწინების მხარდამჭერი ჩანაწერის შესატანად ხელმოწერების შეგროვებას მთელი საქართველოს მასშტაბით აგრძელებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიიდან აცნობეს, კახეთის და ახალციხის შემდეგ გიორგი თარგამაძემ „ქრისტიან-დემოკრატების“ ინიციატივა თბილისელებს პირადად გააცნო.

მოსახლეობამ დედაქალაქის ცენტრში ხელმოწერით დაადასტურა „ქრისტიან-დემოკრატების“ ინიციატივის მხარდაჭერა.

—სამწუხაროდ, ჩვენ ვხედავთ მომავალში ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონების რეალურ საფრთხეს და შესაბამისად, სანამ ურემი გადაბრუნდება მანამდე გვინდა ცივილიზებული, სამართლებრივი ფორმით დავიცვათ ჩვენი ქვეყანა ამ საფრთხისგან. კონსტიტუციაში შესაბამისი ჩანაწერის არსებობა სწორედ ამ საფრთხის თავიდან აცილების და ტრადიციული ოჯახის დაცვის ყველაზე მყარი, სახელმწიფო სამართლებრივი გარანტიაა, — მიაჩნია გიორგი თარგამაძეს. თბილისის შემდეგ „ქრისტიან-დემოკრატები“ ხელმოწერების შეგროვებას დასავლეთ საქართველოში გააგრძელებენ.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება?

დარეგისტრირდება თუ არა ცესკო-ში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე სარეფერენდუმო საკითხი, 22 აგვისტომდე გახდება ცნობილი. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა განუცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით, ცესკო-ში შუალედური განხილვა გაიმართა, სადაც დაზუსტდა, საინიციატივო ჯგუფის მხრიდან ხომ არ არის რაიმე ცვლილება კითხვის დასმის ფორმულირებაში.

— ჩვენი კითხვა არის ასეთი: გსურთ თუ არა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს 2014 წელს. ჩვენი პასუხი იყო, რომ ძალაში რჩება ასეთი ფორმულირება. საბოლოო პასუხს მოგვცემენ 22 აგვისტომდე, — განაცხადა ნიკოლაიშვილმა. მისივე განმარტებით, რეფერენდუმის ჩასატარებლად უნდა შეგროვდეს 200 ათასი ხელმოწერა და შემდეგ პრეზიდენტი ნიშნავს ან არ ნიშნავს რეფერენდუმს.

— ამ პრეზიდენტის ვადაში ეს არ მოესწრება, რადგან სამი თვის განმავლობაში უნდა შეგროვდეს ხელმოწერები. საკითხს შემდგომი პრეზიდენტი განიხილავს ამას, — განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

რაც შეეხება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნას, ნიკოლაიშვილის განცხადებით, ამის მიზეზი ის არის, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები „არანორმალურ და არაორდინალურ გარემოში ჩატარდა“.

—ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ ნორმალურ ვითარებაში არ ჩატარებულა. ამ არჩევნებში ვინც კი ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“ ან „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს იყო ფაქტობრივად გადარჩენის ინსტიქტით მიცემული ხმა და არა — რეალურად გაანალიზებული და პოლიტიკურ ორიენტაციებზე დაფუძნებული. ისინი, ვინც „ოცნებას“ აძლევდა ხმას, ფიქრობდა, რომ თუ „ნაციონალური მოძრაობა“ დარჩება, ჩვენი გადარჩენა არ იქნება და ჩვენ ციხე ან სიკვდილი მოგველის. ასევე, ვინც „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცა ხმა, იქიდანაც გადარჩენის საკითხი იყო. უფრო მეტი იყო ისეთი, ვინც შიშის და მოსყიდვის გამო მისცა ხმა. აქედან გამომდინარე, დღეს უკვე არ არის ვითარება, რომ ვიღაცამ შიშით და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მისცეს ხმა.

პატიმრები ჩივიან, მაგრამ...

კანონიერი ქურდობა მკაცრად ისჯება!

პატიმრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ კანონიერი ქურდობა დასჯადი არ უნდა იყოს. გეგუთის №14 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების 1359 პატიმარმა კოლექტიური განცხადებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, მთავარ პროკურორს, ადვოკატთა ასოცოაციის თავმჯდომარეს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრებს“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლს“, ადამიანის უფლებათა ცენტრს და ტელეკომპანია მე-9 არხს.

მიმართვის ადრესატებისგან პატიმრები ითხოვდნენ რეაგირებასა და პოზიციების დაფიქსირებას კოლექტიურ მიმართვაში მოყვანილ პრობლემატიკასთან დაკავშირებით. კერძოდ, მსჯავრდებულების მოთხოვნა შეეხებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლის **(ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა)** გაუქმებას. მათი აზრით, აღნიშნული მუხლის საფუძველზე ბევრი პატიმარი უკანონოდ იხდის სასჯელს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. პატიმართა განცხადებას მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრი გამოეხმაურა. აქ მიაჩნიათ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კანონიერი ქურდობა და ქურდული სამყაროს წევრობა დასჯად ქმედებას უნდა წარმოადგენდეს, თუკი იგი გამოვლენილია ამ სამყაროსათვის დამახასიათებელ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებებში. ადამიანის უფლებათა ცენტრში სსკ-ის 223[1] მუხლის გაუქმება მიზანშეუწონლად მიაჩნიათ იმის გათვალისწინებით, რომ ქურდული სამყარო წარმოადგენს დანაშაულებრივ სისტემას, გაერთიანებას, რომელსაც სათავე დაედო საბჭოთა კავშირის დროს. იგი მსგავსია იტალიური მაფიისა, რომლის წევრობაც და აქედან გამომდინარე, კრიმინალური საქმიანობაც დასჯად ქმედებად ითვლება. უფლებადამცველთა აზრით, გასათვალისწინებელია აღნიშნული ნორმის მიღების მაღალი მიზანი – ქურდული სამყაროსა და კანონიერი ქურდების თვითნებობისა და დანაშაულებრივი საქმიანობის აღმოფხვრა საქართველოში. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს ამ დანაშაულისაგან დაცვის ობიექტსაც – საზოგადოების უსაფრთხოებას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ამავე დროს, ადამიანის უფლებათა ცენტრი იზიარებს გეგუთის №14 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების პატიმართა მოსაზრებას, რომ ბოლო წლებში ბევრი პატიმარი უსამართლოდ იხდის სასჯელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლის (ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა) საფუძველზე, რაც გამოწვეულია ნორმის ბუნდოვანებით, მუხლის არასწორი განმარტებით და მასზე დაყრდნობით სამართალწარმოებაში მავნე პრაქტიკის განვითარებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეებიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ გარკვეულ შემთხვევებში, ქმედების კვალიფიკაციის სუბიექტები სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციისათვის საკმარისად მიიჩნევენ პირის აღიარებას, რომ იგი არის ქურდული სამყაროს წევრი ან „კანონიერი ქურდი“. ამის გამო არასაკმარისი მტკიცებულებებისა და საქმის ობიექტური გამოკვლევის გარეშე ადამიანებს ბრალად ერაცხებოდათ სსსკ-ის 223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

ასევე, ბოლო წლებში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც საპატიმროებში მყოფ მსჯავრდებულთა სასჯელები უსამართლოდ მძიმდებოდა სსსკ-ის 223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულით. იყო ფაქტები, როცა ბრალდებულთა აღიარებები მოპოვებული იყო იძულებით ან ძალადობით. სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათთვის არასასურველი პიროვნებების სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა ანგარიშწორების საფუძველზე, სსკ-ის 223[1] მუხლის გამოყენებით.

მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას წარმოადგენს ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსი არ ახდენს ტერმინების „ქურდული სამყაროს წევრობისა“ და „კანონიერი ქურდობის“ დეფინიციას, რაც გარკვეულ პრობლემებს იწვევს სისხლის სამართლის პრაქტიკაში.

ამ ტერმინთა განმარტებას იძლევა საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. ამ კანონის თანახმად, კანონიერი ქურდი არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყარის „სპეციალური წესების“ შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით მართავს ანდა ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს“.

თავად ქურდული სამყარო განმარტებულია „პირთა ნებისმიერ ერთობად, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებით მისი წევრებისთვის ან სხვა პირებისთვის სარგებლის მიღება“.

იმისათვის, რომ ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად სწორად დაკვალიფიცირდეს, ქმედებისათვის კვალიფიკაციის მიმცემმა სუბიექტმა სათანადოდ უნდა მოახდინოს გაანალიზება იმ „სპეციალური წესებისა“ და „ქურდული სამყაროსი“, რომლის საფუძველზეც შესაძლოა, მოქმედებდნენ სავარაუდოდ დანაშაულის ჩამდენი პირები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ნორმატიული აქტი არ განსაზღვრავს ამ „სპეციალურ წესებსა“ და მის ნუსხას. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის, იცნობენ თუ არა ნორმის დისპოზიციით გათვალისწინებულ „სპეციალურ წესებს“ საგამოძიებო ორგანოები ან სასამართლოები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს ქურდული სამყაროს წევრობად ან კანონიერ ქურდობად, იგი გამოხატული უნდა იყოს კონკრეტულ კრიმინალურ ქმედებებში (მოქმედებაში ან უმოქმედობაში). კანონიერი ქურდობის ან ქურდული სამყაროს წევრობის მხოლოდ სტატუსის გამო (რასაც განსაზღვრავს სსკ-ის 223[1] მუხლი), პირის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და დანაშაულის არსს. სისხლის სამართლებრივად დაუშვებელია პირის დასჯა მოსაზრებების, მენტალიტეტის და იდეოლოგის გამო, თუკი მისი მენტალური განწყობა არ გამოიხატება კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებებში.

„სამწუხაროდ, ბოლოდრონდელი პრაქტიკით, გვაქვს მდგომარეობა, როდესაც პირს შეიძლება ბრალად შეერაცხოს სსკ-ის 223[1] დანაშაული, თუკი იგი აღიარებს, რომ არის ქურდული სამყაროს წევრი ან კანონიერი ქურდი. ვთვლით, რომ ამგვარი აღიარება ნამდვილად შეიძლება გახდეს ყურადსაღები გარემოება გამოძიებისათვის, რათა შესაბამისი ორგანოები დაინტერესდნენ ფაქტით, მაგრამ კონკრეტული ქმედების გარეშე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და პირის პასუხისმგებლობაში მიცემა ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპებს და ადამიანის უფლებების არსს, – აღნიშნავენ ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები, – **„იმისათვის, რომ შეწყდეს სსკ-ის 223[1] მუხლის ანგარიშწორების საშუალებად გამოყენება, მიზანშეწონილია აღნიშნულმა მუხლმა შეიძინოს უფრო მეტი სიცხადე და განჭვრეტადობა. აუცილებელია ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციისას საგამოძიებო ორგანოებმა და სასამართლომ ყურადღება მიაქციონ „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ქურდული სამყაროს მახასიათებელ შემდეგ ნიშნებს: პირთა გაერთიანებას, გაერთიანების მოქმედებას ქურდული სამყაროსათვის დამახასიათებელი სპეციალური წესების შესაბამისად და მათი ქმედების მიზანს მატერიალური სარგებლის და გამორჩენის მიღების სახით.**

ქურდული სამყარო არის ორგანიზებული ჯგუფი თანაამსრულებლობის ფორმით. იმისათვის, რომ პირი დაისაჯოს სსკ-ის 223[1] მუხლის შესაბამისად, საკმარისი არ არის ის, რომ პირმა აღიაროს ქურდული სამყაროს წევრობა და წესები. ამისათვის თავად ქურდულმა სამყარომაც უნდა აღიაროს იგი წევრად. ასევე, პირმა აქტიურად უნდა იმოქმედოს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის საკმარისი არ არის პირის აღიარება, რომ იგი არის ქურდული სამყაროს წევრი ან კანონიერი ქურდი, მისი სტატუსი კონკრეტულ ქმედებებში უნდა იქნას გამოვლენილი“.

სსკ-ის 223[1] მუხლით გათვალისწინებული ობიექტური მხარე გვექნება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის აღიარება ასევე გამოხატული იქნება ქურდული სამყაროს დანაშაულებრივი მიზნების განხორციელებაში. მხოლოდ ე. წ. ქურდული მენტალიტეტის ქონა არ იძლევა დანაშაულის შემადგენლობას. ასევე, ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის უნდა დადგინდეს, მოქმედებდა თუ არა პირი ე.წ. „ქურდული წესების“ შესაბამისად. იმისათვის, რომ სასამართლომ სწორად დაკვალიფიციროს ქმედება და გამოიტანოს სამართლიანი განაჩენი, აუცილებელია, ქმედების კვალიფიკაციისას მან შეამოწმოს, მოქმედებდა თუ არა სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირი კანონით გათვალისწინებული, ქურდული სამყაროსათვის დამახასიათებელი „სპეციალური წესებით“. თუმცა, კითხვებს ბადებს ისიც, თუ საიდან უნდა მოიპოვოს სასამართლომ ეს „სპეციალური წესები“, როდესაც იგი ნორმატიულად არ არის განსაზღვრული. რა თქმა უნდა „სპეციალური წესების“ მოპოვება ვერ მოხდება მხოლოდ განსასჯელის ჩვენებით, ასევე, სირთულე შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როდესაც სავარაუდოდ დანაშაულის ჩამდენი პირი ტყუის ან დუმილის უფლებას იყენებს. ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ამ დანაშაულისათვის დამახასიათებელ ფაქტორებს: დაშინებას, მუქარას, იძულებას, ქურდულ გარჩევებს, დანაშაულისკენ წაქეზებას და სხვა.

გარდა ზემოთ თქმულისა, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი სისტემის – ე.წ. კანონიერი ქურდების ინსტიტუტისა და მასზე დაფუძნებული მენტალიტეტის აღმოსაფხვრელად, საჭიროა, სახელმწიფომ მეტი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას ამ დანაშაულებრივი ინსტიტუტის შესახებ, გააცნოს მისი ნამდვილი არსი და მისგან გამოწვეული სავალალო შედეგები. ამგვარი საგანმანათლებლო მიდგომით ქურდულ სამყაროსთან ბრძოლა კიდევ უფრო ეფექტური იქნება.

ბუნებრივია, პატიმრებს ეს პასუხი არ დააკმაყოფილებთ. რაც შეეხება მიმართვის დანარჩენ ადრესატებს მათგან პასუხი ჯერჯერობით არ ისმის. არადა, უდავოდ საინტერესოა მათი პოზიციაც.

თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

ლატფარის მთებში დაკარგული ტურისტები გადაარჩინეს

სამართალდამცველებმა დაკარგული პოლონელი ტურისტები იპოვეს. შსს-ს ლენტეხის რაიონული სამმართველოს, ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა, უშგულის და ლენტეხის სასაზღვრო ზოლში, ლატფარის მთებში პოლონელი ტურისტების საძიებო-სამაშველო ღონისძიებები განახორციელეს.

შსს-ს ცნობით, ტურისტები მაჩეი ტომაშევსკიმ და ლიდია ბაშჩუკმა, რომლებიც სალაშქროდ უშგულში წავიდნენ, ლენტეხში უკან მობრუნება ლატფარის მთებით გადაწყვიტეს, რა დროსაც გზა აებნათ და დაბრუნება ვეღარ შეძლეს. ტურისტებმა მოახერხეს პოლონეთის საელჩოსთან დაკავშირება, რის შემდეგაც საელჩომ დახმარებისთვის პოლიციას მიმართა. ლენტეხის რაიონული სამმართველოს, სახანძრო და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით პოლონელ ტურისტებს მიაკვლიეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ჰოსპიტალიზაციას არ საჭიროებენ.

„მაგთი“ თბილისში შეფერხებით იმუშავებს

„მაგთიკომი“ ქსელში მიმდინარე მოდერნიზაციის პროცესის გამო, რამდენიმე დღის განმავლობაში შეფერხებით იმუშავებს. აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანია „მაგთიკომი“ განცხადებას ავრცელებს:

– უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, „მაგთიკომის“ ქსელში მიმდინარეობს მოდერნიზაციის პროცესი, რის გამოც თბილისში, რამდენიმე დღის განმავლობაში შესაძლოა ლოკალურად (ზოგიერთ უბანში) ადგილი ჰქონდეს მცირე შეფერხებებს. წინასწარ ბოდიშს ვუხდით მომხმარებლებს შესაძლო უხერხულობისათვის“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ინტერპრესი

„თქმა მართლისა სიმართლისა“

კოზმა პრუტკოვისა არ იყოს

თანამედროვე საქართველოში მრავალი ურთიერთგამომრიცხავი პროცესი მიმდინარეობს და ეს იწვევს საზოგადოებაში ანტაგონისტური განწყობების ისეთ გამძაფრებას, რაც, ადრე თუ გვიან, მეტად სავალალო შედეგებს მოგვცემს. ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ინტელიგენციას, რომლის რიგებში წესით, პროფესიული ინფორმაცია უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე საზოგადოების დანარჩენ ნაწილში და ამის გამო, სწორედ მას ეკისრება მრავალგზის შეჯერებული და შემოწმებული ფაქტების ისეთი ფორმით მიწოდება, რომ ამან საზოგადოებაში გაუცხოებისა და დაპირისპირების ტენდენცია კიდევ უფრო არ გააძლიეროს.

ჩვენი ეს წინასწარი განაცხადი გამოწვეულია იმით, რომ „რეზონანსის“ 8 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „მელიქ კაზარიანცის (უნდა იყოს „აზარიანცის“ — **რ. ბ.**) სახლი ზემელზე და „საპოჟნიკი“ სპირიდონა არასწორ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას. წერილს არ შველის ავტორის უდავოდ მაღალი ავტორიტეტი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე. კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სწორედ რეზო ჩხეიძის უაღრესად მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტის გამო არ შეიძლება ამ წერილში მოყვანილი არასწორი ფაქტების უპასუხოდ დატოვება. ეს უეჭველად გამოიწვევს კოზმა პრუტკოვის მსგავსად „საპოჟნიკ“ სპირიდონას მემორიალის და, ალბათ, თვით სპირიდონას სახელზე ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნის მოთხოვნასაც.

წერილის სულისკვეთება გასაგებიც არის და მისაღებიც: ყველა ვალდებული უნდა იყოს, რომ ქვეყნის მიწა-წყალს გაუფრთხილდეს და ისედაც მცირემიწიან საქართველოში უცხო ელემენტი არ ჩამოასახლოს, რადგან ეს ადგილობრივ მოსახლეობას საფრთხეს შეუქმნის. ყოველივე ამის განცხადება შეიძლებოდა პირდაპირ და ნათლად და არ საჭიროებდა გამოგონილი ფაქტებით შემაგრებას.

რეალურ მელიქ კაზარიანცსა და გამოგონილ „საპოჟნიკ“ სპირიდონას კონფლიქტს საკმაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტი უდევს საფუძვლად. XVIII საუკუნის შუა წლებში, ბერლინიდან სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე ჰაფელის რაიონში აშენდა პრუსიის იმპერატორის კიდევ ერთი რეზიდენცია — პოტსდამი. სასახლის მარჯვენა და მარცხენა მხარეები არ არის ურთიერთსიმეტრიული: ერთი მხარე უფრო შეწეულია და მას წისქვილის მხარეს უწოდებენ. სახელწოდება გამოწვეულია იმით, რომ ამ ადგილას ოდესღაც ყოფილა წისქვილი, რომლის პატრონმაც კატეგორიული უარი განაცხადა, რომ ეს ტერიტორია ნებისმიერ ფასად დაეთმო პრუსიის იმპერატორ ფრიდრიხ დიდისათვის. იმპერატორმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში მეწისქვილის წინააღმდეგ, მაგრამ სასამართლომ მეწისქვილე გაამართლა: წისქვილი და მისი მიმდებარე ტერიტორია მისი საკუთრებაა და ძალით ვერავინ ვერ შეიჭრება მის უფლებებშიო. ამის გამო პოტსდამის სასახლე არასიმეტრიულად აშენდა. დრომ მრავალი რამ შეცვალა: აღარც მეწისქვილეა და აღარც წისქვილი, მაგრამ სახელი მაინც დარჩა, რომელიც მეტად საინტერესო ფაქტს გვახსენებს, ეს ფაქტი არავის ფანტაზიის ნაყოფი არ არის, მას ნამდვილად ჰქონდა ადგილი და მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ იმპერატორ ფრიდრიხ დიდის დავა მეწისქვილესთან და თვით სასამართლო პროცესიც გახმაურებულ განაჩენთან ერთად თვითონ იმპერატორის შეკვეთით დადგმულ სპექტაკლს წარმოადგენდა, რომელიც მიზნად ისახავდა პრუსიელებისათვის ჩაენერგა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის და სასამართლოს უზენაესობის იდეა.

თავი დავანებოთ „საპოჟნიკების“ გმირული სახეების შექმნას.

დიდი მტკიცება არ ესაჭიროება იმას, რომ ჩვენს შემთხვევაში ხელოვნურად ხდება ფრიდრიხ დიდის ადგილას მელიქ კაზარიანცის ჩანაცვლება, ხოლო ისტორიულად არსებული მეწისქვილის ადგილს გამოგონილი „საპოჟნიკი“ იკავებს. არ გვინდა მსჯელობა იმ საკითხზე, რომ ზემელზე აგებულ შენობას „ორივე ქიმი მომრგვალებული უნდა ჰქონოდა“. აქ სილამაზის ფაქტორი მოსატანი არ არის. მოკლედ ვიტყვით, რომ ქიმების განსხვავებული კონფიგურაცია გამოწვეული იყო შენობის სპეციფიკური მდებარეობით: ის ერთი მხრიდან ასრულებდა გოლოვინის პროსპექტს, ხოლო მეორე მხრიდან გადიოდა ვერის დაღმართზე.

გარდა ამისა, ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ, რომ ევროპული ფეოდალიზმის დამახასიათებელი ფაქტი ბრმად მოვარგოთ რუსული ფეოდალიზმის რეალობას. ნუთუ იმდენად გულუბრყვილოები ვართ, რომ დასაშვებად მიგვაჩნია რუსეთის იმპერიაში „საპოჟნიკის“ პიროვნული შეგნება და მტკიცე ხასიათი? რა, „საპოჟნიკმა“ სპირიდონამ არ იცოდა, რომ პარიკმახერებიც არსებობდნენ, ცალ წვერსაც ჩამოპარსავდნენ და... აი, ეტაპი ციმბირს როდის ჩააღწევდა, ეს ნამდვილად არ ეცოდინებოდა.

რუსეთის სახელმწიფოს მთელი არსებობის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ივანე IV-ის დროს ნოვგოროდის ვეჩეს ზარი დაამსხვრიეს, რუსეთში არასოდეს არ არსებულა პიროვნული თავისუფლება, საუთრების ხელშეუხებლობა, კანონისა და სასამართლოს უმაღლესობა. სხვანაირად რომ ყოფილიყო საქმე, მაშინ ვერც პასკევიჩი ვერ გაშლიდა ფრთებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. არც მუჰაჯირობას ექნებოდა ადგილი ჩრდილოეთ კავკასიაში და არც საბჭოთა კავშირის ტურისტული მარშრუტის გზამკვლევი არ იქნებოდა აჭრელებული განმარტებებით: დავიპყარით ... წელს, დავიპყარით ... წელს, დავიპყარით ... წელს, და ა. შ. დაუსრულებლივ!

მოკლედ: თუ გვსურს ხვალინდელი დღის პერსპექტივა ნათელი იყოს, მაშინ წარსულს თვალი უნდა გავუსწოროთ და არ ვეცადოთ მისი შელამაზება-შესწორება ხელოვნური მანიპულაციებით.

ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, **„საპოჟნიკის“ გმირული სახის შექმნას და მის ტირაჟირებას გაცილებით აჯობებდა, რომ კავკასიის სამთავარმართებლოში სომხური ბურჟუაზიის პოლიტიკის შესახებ ერთხელ მაინც ღიად და ნათლად თქმულიყო ის, რასაც ადგილი ჰქონდა მთელი XIX საუკუნის მანძილზე და რომლის რეციდივები დღესაც არსებობს. ეს ეხება სომხური ბურჟუაზიის პოლიტიკას მთელი კავკასიის მასშტაბით, რაც ითვალისწინებდა კავკასიის ძირითად ძალაძეებში (და არა მარტო ძალაძეებში) — ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ფოთში, ეკონომიკური ბერკეტების ხელში აღებას, რაც ნებსით თუ უნებლიეთ წინააღმდეგობაში მოდიოდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან.**

ვინმემ არასწორად რომ არ გაიგოს, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს პროცესი არ არის დანაშაულებრივი. ეს არის საზოგადოების ბურჟუაზიული განვითარების სავსებით ბუნებრივი შედეგი: ბურჟუაზიული ეკონომიკა ცდილობს საზღვრების გაფართოებას და ამ პოლიტიკის განხორციელებაში ის სცილდება საკუთარ ეროვნულ საზღვრებს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვის ტერიტორიაზე იჭრება. ასეთი პოლიტიკის გატარება წარმატებას აღწევს იქ, სადაც არ ხვდება კონკურენციას. რადგან XIX საუკუნის აზერბაიჯანი და საქართველო ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონებს წარმოადგენდა, კავკასიაში წამყვან როლს სომხური ბურჟუაზია ასრულებდა. შედეგად ის მივიღეთ, რომ ბაქოსა და თბილისში განუხრელად იზრდებოდა სომხური ელემენტი. ყოველივე ამან ისტორიულ პერსპექტივაში მეტად საინტერესო შედეგი მოგვცა: რუსეთის იმპერიაში რევოლუციური სიტუაციის გაძლიერების პერიოდში სომხური ნაციონალური ბურჟუაზიის იდეოლოგები იწყებენ პროპაგანდას იმ მიმართულებით, რომ, რადგანაც თბილისი კავკასიის ცენტრალური ქალაქი იყო, მას უნდა ჰქონოდა საერთაშორისო ქალაქის სტატუსი, ხოლო საქართველოს დედაქალაქად მიეჩნიათ ქუთაისი. კავკასიის სომხური ბურჟუაზიის ამ მიმართულებით აქტიურობამ მათი საწინააღმდეგო პროცესი გამოიწვია: დაჩქარა ჯერ კიდევ სუსტი ქართული ეროვნული ბურჟუაზიის კონსოლიდაციის პროცესი და ქუთაისის ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა სამოღვაწეოდ თბილისში გადმოინაცვლა.

დაე, ყველამ გააანალიზოს ეს ფაქტები და დაინახოს, თუ რას ემსახურება დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში პარლამენტის ძუთაისში გადატანის მცდელობა: ეს არის არა ძუთაისზე ზრუნვით გამოწვეული პოლიტიკა, არამედ ის, რომ ძართული ელემენტი ჩაკეტონ დასავლეთ საქართველოში და ამით გამოიწვიონ მათთვის სასურველი შედეგი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

აი, ეს უნდა ვიცოდეთ და თავი დავანებოთ „საპოჟნიკების“ გმირული სახეების შექმნას.

როლანდ ბურჭულაძე

◎ ტურიზმი

რათა კაცს სტუმრობა კვლავაც მოუნდეს

აგვისტოს დადგომასთან ერთად, საქართველოში საზღვაო საკურორტო და ტურისტულმა სეზონმა პიკს მიაღწია. ამ გარემოებაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ეკონომიკის იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის, რომელთა განვითარებას უახლოეს პერსპექტივაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თანადაფინანსების ფონდის შექმნასთან დაკავშირებით ტურიზმი დაასახელა. აქვე ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმას, რომ რადგან ტურიზმის განვითარება ასევე იყო წინა ხელისუფლების მოღვაწეობის ერთ-ერთი გამორჩეული სფერო, ახალი მთავრობის სურვილი გააგრძელოს იგივე მიმართულებით საქმიანობა, კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ, თუ ადრე გარკვეული აქცენტები მუშაობაში სწორად იყო დასმული, მათ შეცვალას ვიღაცის ჯინაზე არავინ ფიქრობს.

ყოველივე ეს წმინდა პრაგმატულ საფუძველზეა დამყარებული, რადგან, ზოგადად, ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი და მზარდი ინდუსტრიაა. მრავალი ქვეყნის ეკონომიკისთვის მისი მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია, რადგან მასზე მნიშვნელოვნად არის მიბმული ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების, მათ შორის, ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ადგილობრივი მრეწველობის, სასტუმროებისა და კაფე-რესტორნების, გაჯანსაღების, გართობის, კულტურისა და სხვა დარგების განვითარება, რასაც, თავისთავად, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების დონის ამაღლება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, შესაბამისად, უაღრესად პოზიტიური მატერიალურ-სოციალური ელემენტიც ახლავს.

მსოფლიო ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის (UNWTO) პროგნოზით, დარგის ყოველწლიური ზრდა 2030 წლამდე სტაბილური იქნება და წელიწადში საშუალოდ 3,3 პროცენტს შეადგენს. ტურიზმის მომგებიანობის მასშტაბის თვალსაჩინოებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო მასშტაბით მისგან მიღებული მთლიანი შემოსავალი 6 ტრილიონ დოლარს აღემატება და მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს. იმავე მსოფლიო ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ყველაზე მეტი ტურისტი წლის განმავლობაში ჩადის **საფრანგეთში, აშშ-ში, ჩინეთში, ესპანეთში, იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, თურქეთში, გერმანიაში, მალაიზიასა და მექსიკაში, თუმცა კი მიღებული შემოსავლით ლიდერები არიან აშშ, ესპანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი და გერმანია.**

საგულისხმოა, რომ **ბოლო 5 წლის მანძილზე საქართველოში ტურიზმის დარგის ზრდა მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს საკმაოდ უსწრებს: საქსტატის მონაცემებით, 2013 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი, სულ მცირე, ერთი მესამედითაა გაზრდილი.** აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ტურიზმთან დაკავშირებით მონაცემთა (ვთქვათ, მათი რიცხოვნობა, ქვეყანაში გატარებული დროის ხანგრძლივობა, მიზნობრიობა, მიღებული შემოსავალი და ა.შ.) გაბნევა, ხშირად საკმაოდ მნიშვნელოვანიც, ჩვენში მათი სწორად გამოთვლის მეთოდიკის ფაქტობრივ არარსებობასთანაა დაკავშირებული. იმედია, რომ ეს დიდი ხარვეზი წლის დამლევს გამოსწორდება, როცა საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, მისივე ხელმძღვანელობის განცხადებით, ჩვენში დარგის განვითარების სტრატეგიის კონცეფციას ჩამოაყალიბებენ, რაშიც მსოფლიო მოწინავე გამოცდილებას გამოიყენებენ, რის შესახებ ადრეც გვქონდა ლაპარაკი.

რაც შეეხება საქართველოში უცხოელი ტურისტების ნაკადს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლო წლების განმავლობაში იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ტურისტები ძირითადად ჩამოდიან **თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ირანიდან, აშშ-დან, გერმანიიდან, ყაზახეთიდან და საბერძნეთიდან.** მათ შორის ყველაზე დიდი პროცენტული ნამატი წინა წლებთან შედარებით, მოდის **რუსეთზე** (77 პროცენტი), **უკრაინაზე** (62 პროცენტი), **სომხეთზე** (52 პროცენტი), **ყაზახეთსა** (30 პროცენტი) და **თურქეთზე** (26 პროცენტი).

საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, მის რეგიონულ ქვედანაყოფებში ქვეყანაში უცხოელ ტურისტთა მოსაზიდად საზღვარგარეთ მასშტაბიანი სარეკლამო კამპანია მიმდინარეობს, მათ შორის, პოლონეთში, ისრაელში, თურქეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, ბელარუსში, სომხეთში, აზერბაიჯანში, სხვაგან.

იხ. 7 გვ.

— **უსათუოდ**, — უპასუხა მისტერ გრინუეიმ.

— კერძოდ რა ვარჯიშები?

— ვარჯიშები აერობიკის სტილში. მინდა წინ გავუსწრო თქვენს მომავალ შეკითხვას და შევნიშნავ, რომ სულაც არაა სავალდებულო მივდიოთ ჯეინ ფონდას მეთოდიკას, — ღიმილით თქვა მისტერ გრინუეიმ. — „აერობიკა“ პირდაპირი გაგებით ნიშნავს „ვარჯიშს ჟანგბადთან“. ეს ნიშნავს, რომ მასში შედის ნებისმიერი მოძრავი საქმიანობა, ნებისმიერი სპორტი, სწრაფი სიარული და ცეკვებიც კი. მეორე მხრივ, „არა-აერობიკა“ გულისხმობს ფიზიკურ ვარჯიშებს, რომლებიც პირდაპირ არ არიან დაკავშირებული სუნთქვასთან ან მოითხოვენ სუნთქვის შეჩერებას, ისეთები, როგორიცაა სპრინტი ან ძალოსნობა. ასეთი ვარჯიშები გრძნობებისა და ჯანმრთელობისთვის ნაკლებად სასარგებლოა.

— რატომ? — ცნობისმოყვარეობით იკითხა ახალგაზრდამ.

— იმიტომ, რომ „არა — აერობიკით“ ვარჯიშის დროს ორგანიზმში იწვის არა ჟანგბადი, არამედ გლიკოგენი, რომელიც ტვინის საკვებია.

— რამდენ ხანს უნდა ივარჯიშო, რომ იგრძნო პირველი შედეგები? — იკითხა ახალგაზრდამ.

— საკმარისია ნახევარი საათი დღეში. მეტი არა.

— ძალიან ძნელად არ მეჩვენება, — თქვა ახალგაზრდამ.

— ეს მართლაც სულ არაა ძნელი, — უპასუხა მისტერ გრინუეიმ, — თუმცა, როგორც ცხოვრების წესში ნებისმიერი ცვლილებებისთვის, აუცილებელია გარკვეული სიმტკიცე, რომ აიძულო თავი ივარჯიშო მანამ, სანამ ეს წესად არ გადაგექცევა.

— მაშ ასე, ფიზიკურ ვარჯიშებს შეუძლიათ დაგვეხმარონ ვიგრძნოთ თავი უფრო ბედნიერად...

— დიახ. თავის დროზე მეც მეპარებოდა ამაში ეჭვი, — თქვა მისტერ გრინუეიმ, როდესაც შენიშნა, რომ ჯერ კიდევ ვერ შეძლო, დაერწმუნებინა ახალგაზრდა. — იმ საღამოს მე დიდხანს ვესაუბრებოდი დარაჯს ჩემ კანტორაში. მან ახსენა ჭეშმარიტი ბედნიერების ათი მუღამი და მათ, ვაღიარებ, მთლიანად შეცვალეს ჩემი ცხოვრება. და ერთ-ერთი ამ მუღამებიდან, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად დამეხმარა გავმხდარიყავი იმის სპეციალისტი, რაც ახლა ვარ, არის... სხეულის ძალა.

— ვფიქრობ, სიტყვაში „სხეული“ თქვენ ფიზიკურ ვარჯიშებს გულისხმობთ? — შეეკითხა ახალგაზრდა.

— არა. იმას, თუ როგორ ვიყენებთ ჩვენ სხეულს, სხვა მრავალი ასპექტიც აქვს, და ისინიც ასევე ღრმა და სწრაფ ზემოქმედებას ახდენენ ჩვენს ემოციებზე. ფიზიკური ვარჯიშები — მხოლოდ ერთია ამ ასპექტებიდან.

ახალგაზრდა დაინტერესდა და კვლავ დაიწყო იმის ჩაწერა, რასაც მისტერ გრინუეი ამბობდა.

— ჯერ ერთი, წარმოსადეგობა. ის, თუ როგორ ვდგავართ, ვზივართ ან დავდივართ. თუ ადამიანს ცუდი წარმოსადეგობა აქვს (ესე იგი ის წელშია მოხრილი ან გვერდზე იხრება იმის ნაცვლად, რომ იდგეს გამართულად), ამის გამო ზიანდება მისი ჯანმრთელობა და ემოციები.

— ძნელია ამის დაჯერება. ნუთუ იმან, თუ როგორ ვდგავართ ან ვზივართ, შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენს გრძნობებზე? — იკითხა ახალგაზრდამ.

— ნება მიბოძეთ, აგიხსნათ, — თქვა მისტერ გრინუეიმ, — წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც გრძნობს მოდუნებას ან დათრგუნვას. თქვენი აზრით, როგორ იჯდომება იგი ან იდგომება ფეხზე?

— არ ვიცი.

— აი, დავუშვათ, მას თავი ექნება პირდაპირ თუ მოხრილი და ძირს დახრის?

— ძირს დახრის.

— როგორი იქნება მისი მკერდი, გაჭიმული თუ ჩაზნექილი?

— ჩაზნექილი.

— როგორი იქნება მისი სახე — მოწესრიგებული და მომღიმარი თუ მოდუნებული და წარბშეკრული?

— ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის იღიმებოდეს, — თქვა ახალგაზრდამ.

— როგორ ისუნთქავს — ღრმად თუ ზედაპირულად?

— ზედაპირულად. მგონი, მე ეს ხერხი გავიგე, — თქვა ახალგაზრდამ. — ჩვენ ვღებულობთ სხვადასხვა პოზას ჩვენი ემოციებისდა მიხედვით.

— სავსებით სწორია. მაგრამ ეს არის ქუჩა ორმხრივი მოძრაობით — ჩვენი ემოციები გავლენას ახდენენ ჩვენს წარმოსადეგობაზე, მაგრამ პოზაც ახდენს ზემოქმედებას ჩვენს გრძნობებზე. თუ სულ წელში ვართ მოხრილი, ადრე თუ გვიან, ვიგრძნობთ დათრგუნვას, მაგრამ როგორც კი წელში გავიმართებით, დაუყოვნებლივ უკეთ გავხდებით. ეს წარმოუდგენლად გვეჩვენება, ასე არაა, და მაინც, როდესაც საკუთარ პოზას ვიცვლით, შეგვიძლია უმალვე შევცვალოთ ჩვენი ემოციური მდგომარეობა. იცით თუ არა, მაგალითად, რომ თუ დგახართ პირდაპირ, სუნთქავთ ღრმად და იღიმით, თქვენ, უბრალოდ, ვერ იგრძნობთ დათრგუნვას. მკვლევარებმა მოაწყვეს ცდები მანიაკალური დეპრესიის მქონე ადამიანებზე — ისეთ პაციენტებზე, რომლებიც მკურნალობას ოცზე მეტი წლის განმავლობაში გადიოდნენ — და აღნიშნავდნენ მათს გუნება-განწყობილებას სხეულის სხვადასხვა პოზის დროს. მეცნიერები იყვნენ გაოცებული, როდესაც აღმოაჩინეს, რომ იმ პოზაში, რომელიც მე აღვწერე, არც ერთი პაციენტი არ განიცდიდა დეპრესიას და არ სჭირდებოდა წამალი. წარმოუდგენელია!

— მაგრამ არა მგონია, მიგაჩნდეთ, რომ ნებისმიერი პრობლემა შეიძლება გადავჭრათ, თუ გავზრდით იმ დროს, როდესაც წელში გამართული დავდივართ, ვსუნთქავთ ღრმად და ვიღიმით?

— არა, რა თქმა უნდა, არა. და მაინც ეს შესანიშნავი დასაწყისია. ეს მეთოდი მართლა გვეხმარება, ვიგრძნოთ თავი უკეთესად და მუშაობს ელვისებურად. ეს მეტად მარტივი ხერხია, რომლის წყალობითაც შეგვიძლია ვმართოთ ჩვენი ემოციური მდგომარეობა სხეულის დახმარებით.

საკუთარი პოზის შემეცნება ბედნიერების ერთ-ერთი მუღამია. სხეულის მუდამ ბოროტად გამოყენებას — ჩვეულებას ვიჯდეთ მაგიდასთან ან ტელევიზორის ეკრანთან წელში მოხრილი — ხშირად მივყავართ მავნე პოზებიდან დათრგუნვის შეგრძნებამდე.

— მაგრამ სავსებით წელში გამართულობაც ძალიან მოუხერხებელია, — შენიშნა ახალგაზრდამ. — აღლუმზე ჯარისკაცს ემსგავსება.

— სწორად დგომა — ეს „სმენაზე“ დგომა როდია. სინამდვილეში ასეთი მდგომარეობა ასევე ცუდი პოზაა, ვინაიდან ზურგში დამატებით დაძაბვას ქმნის. ჯანსაღი ტანადობა ნიშნავს, რომ თქვენი ზურგი გასწორებული, თუმცა მოდუნებულია. თქვენ არ უნდა იგრძნოთ არც დაძაბულობა, არც ტკივილები. არის ერთი მეთოდიკა, რომელიც გვეხმარება გავაუმჯობესოთ ჩვენი წარმოსადეგობა. მე მას „ბაწრის მეთოდს“ ვუწოდებ.

— ბაწრის მეთოდი? საინტერესოა, — თქვა ახალგაზრდამ.

— ის ძალიან მარტივია, და ადვილად შესასრულებელი. საჭირო მხოლოდ წარმოვიდგინოთ, რომ თავის კინკრიხოზე დამაგრებულია ბაწარი, თავზე კი გადგათ კაცი, რომელიც მას თავისკენ ექაჩება.

ახალგაზრდამ მოინდომა ამის გაკეთება და დაუყოვნებლივ იგრძნო, რომ არა თუ გასწორდა, არამედ თითქოს უფრო მაღალიც გახდა.

— როდესაც ამ ვარჯიშს ასრულებდით, გრძნობდით თავს ისე, თითქოს ნარნარად გაყენებენ ფეხზე და გასწორებენ ასე? — შეეკითხა მისტერ გრინეუი. — და შედეგად თავი უკეთ იგრძნო.

მეორე უფრო მოქმედ ვარჯიშს, რომელიც გვეხმარება შევიცვალოთ სხეულის დახმარებით გრძნობა, „ღუზა“ ეწოდება.

— ღუზა?

— დიახ. ძალიან მარტივია და უკიდურესად ეფექტიანი. ცოტათი პავლოვის ძაღლს ჰგავს. ალბათ, გახსოვთ, რომ ყოველთვის, როდესაც პავლოვის ძაღლს საჭმელს აძლევდნენ, რეკდა ზარი. ძაღლი ქვეცნობიერად უკავშირებდა ზარის რეკვას კვებას, და ბოლოს და ბოლოს, როგორც კი დაიწყებოდა ზარის რეკვა, უჩნდებოდა ნერწყვი. პავლოვის ძაღლისთვის ზარის რეკვა გახდა ქვეცნობიერი „ღუზა“, რაც კვებასთან იყო დაკავშირებული. ასეთივე რეაქციები აქვს ადამიანსაც. რას გრძნობთ, როდესაც გრძნობთ ბორმანქანის ხმას? დაძაბულობას? დისკომფორტს? ეს არის ის, რომ ბორმანქანის ხმას თქვენ ტკივილს, დისკომფორტს და დაძაბულობას უკავშირებთ.

ძალიან ხშირად გვიჩნდება ქვეცნობიერი ღუზები, რომლებიც სრულიადაც არ უწყობენ ხელს ბედნიერებას. ასეთ მაგალითს მოვიტან: თუ ორი კაცი მუდმივად ჩხუბობს ერთმანეთთან, დგება ისეთი მომენტი, როდესაც საკმარისია, მათ დაინახონ ერთმანეთი ან გაიგონონ მეორის ხმა, რომ იწყებდნენ მძვინვარებას.

— ჯერ კიდევ ვერ გამიგია, როგორ განეკუთვნება ეს ბედნიერებას, — თქვა ახალგაზრდამ.

— ჩვენ შეგვიძლია დამატებითი ღუზების შექმნაც.ალბათ, გინახავთ სპორტსმენები, რომლებიც მუშტებს კუმშავენ და რაღაცას ყვირიან, რომ „დაიქოქონ“ შეჯიბრებისთვის. ისინი ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ეს მათ თავის თავში რწმენისა და ენერგიულობის გრძნობას უღვივებს. თავადაც გასინჯეთ და დარწმუნდებით ამაში.

— კეთილი, — თქვა ახალგაზრდამ, თან ოდნავ წამოწითლდა კიდეც. — ვენდობი თქვენს სიტყვებს.

— ნუ ენდობით ჩემ სიტყვებს, უბრალოდ სცადეთ თვითონ, — გაიმეორა მისტერ გრინუეიმ. — ადექით, მომუჭეთ მუშტი და დაიყვირეთ „**არის!**“.

ახალგაზრდა წამოდგა, მომუჭა მუშტები და წარმოთქვა სიტყვა: „არის!“.

— არა. ეს თქვენ თქვით უბრალოდ, — წინააღმდეგობა გაუწია მისტერ გრინუეიმ. — უნდა დაიყვიროთ!

ახალგაზრდამ გაიმეორა თავისი მოქმედება და ამჯერად ნამდვილად ხმამაღლა დაიყვირა. მის გასაოცრად, უმალვე იგრძნო ენერგიის მოზღვავება.

— გასაოცარია, — წამოიყვირა მან. — ეს მართლა გვეხმარება.

— რასაკვირველია! მაგრამ არის კიდევ რაღაც, — დაუმატა მისტერ გრინუეიმ. — თქვენ შეგიძლიათ შეიქმნათ თქვენთვის საკუთარი ღუზები, რომლებიც გარკვეულ ემოციებს იწვევენ. მე გიჩვენებთ, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს. გაიხსენეთ რაიმე შემთხვევა, როდესაც თავს სრულიად ბედნიერად თვლიდით, — თქვა მისტერ გრინუეიმ.

ახალგაზრდა ფიქრით ათი წლით უკან დაბრუნდა, როდესაც სამუშაოზე თავის პირველ დღეს ზეიმობდა.

— გაიხსენეთ ეს ამბავი რაც შეიძლება დაწვრილებით. დახუჭეთ თვალები და შეეცადეთ, კვლავ განიცადოთ იგი. რას ამბობდით? რას აკეთებდით? როგორ სუნთქავდით? შეეცადეთ, გაიხსენოთ ეს ყველაფერი, — თქვა მისტერ გრინუეიმ. ახალგაზრდამ თავის წარმოდგენაში აღიდგინა სცენა, შემდეგ კი მოულოდნელად იგრძნო, რომ მისტერ გრინუეი შეეხო მის მარჯვენა მხარს.

— ახლა გაიხსენეთ ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ, — თქვა მისტერ გრინუეიმ და, როდესაც ახალგაზრდამ კვლავ წარმოიდგინა თავისი წინანდელი განცდები, ისევ შეეხო მის მარჯვენა მხარს.

— რატომ აკეთებთ ამას? — შეეკითხა ახალგაზრდა.

— ნუ ღელავთ. ეს ჩვენ კიდევ რამდენჯერმე უნდა გავიმეოროთ, და მაშინ აგიხსნი.

ყველაფერი კიდევ შვიდჯერ განმეორდა, და ახალგაზრდა კვლავ დაინტერესდა:

— მაგრამ რა საჭიროა ეს ყველაფერი.

— ეს წუთია მე დაგეხმარეთ, შეგექმნათ „ბედნიერების ღუზა“, — გაიღიმა მისტერ გრინუეიმ.

— არ მესმის... — თქვა ახალგაზრდამ, მაგრამ მისტერ გრინუეი შეეხო მის მარჯვენა მხარს და, ახალგაზრდამ თავისდა გასაოცრად, სრულიად უმიზეზოდ იგრძნო ბედნიერების მოზღვავება.

— მე დავეხმარე თქვენს ქვეცნობიერებას, დაემყარებინა კავშირი ბედნიერების შეგრძნებასა და თქვენს მარჯვენა მხართან შეხებას შორის, — განუმარტა მისტერ გრინუეიმ. — ხედავთ, რა ადვილია გამოიწვიო ბედნიერი გრძნობები „ღუზის“ დახმარებით? საჭიროა მხოლოდ გაიმეორო გარკვეული ნაბიჯები: გაიხსენო ის დრო, როდესაც იყავი ბედნიერი, — შემდეგ კი, როდესაც მოგონებათა პროცესში გრძნობები პიკს მიაღწევენ, გააკეთო რაიმე უჩვეულო — იბწკინო ყურზე, მოისრისო ცხვირი ან მაჯაზე მოიჭირო ხელი. არ აქვს მნიშვნელობა, თუ კერძოდ რას გააკეთებთ, მთავარია, რომ ეს იყოს რაღაც განსაკუთრებული, და არა ის, რასაც ყოველდღე აკეთებთ.

— რატომ? — შეაწყვეტინა მას ახალგაზრდამ.

— ჩვენ კვლავ პავლოვის ძაღლს ვუბრუნდებით. მას რომ ამ ზარის ხმა მთელი დღე ესმოდეს, იგი შეწყვეტდა მის დაკავშირებას კვებასთან. სასწაული ისაა, რომ შეგიძლიათ, გამოიყენოთ ღუზა ნებისმიერ ემოციურ მდგომარეობაში გადასასვლელად — საკუთარი თავის რწმენაში, მიდრეკილებაში, თანაგრძნობაში — პირდაპირი გაგებით, ნებისმიერ გრძნობაში.

— ეს წარმოუდგენელია, — თქვა ახალგაზრდამ. — მაშ, მაგალითად, მინდა ვიგრძნო რწმენა საკუთარ თავში. ჩემთვის საკმარისია გავიხსენო ის მომენტი, როდესაც ვგრძნობდი ასეთ გრძნობას, გავაკეთო რაიმე განსაკუთრებული — მაგალითად, მოვქაჩო ყურის ბიბილო, — როდესაც გავიხსენებ ამ შეგრძნებას, და თუ ამას რამდენჯერმე გავიმეორებ, მაშინ იმისთვის, რომ ვიგრძნო რწმენა საკუთარ თავში, საკმარისია მოვქაჩო საკუთარ ყურს?

— აბსოლუტურად სწორია ძველი გამოცდილების ვიზუალიზაცია და უნარი გავიხსენოთ წვრილმანი დეტალები, მოითხოვს პრაქტიკას, ამას გარდა ღუზა უნდა დავაყენოთ ემოციების პიკში, მაგრამ, თუ იქნებით დაჟინებული, თავადვე დარწმუნდებით, რა ადვილია ამის გაკეთება.

— ეს ყველაფერი თითქოს ძალიან მარტივად ჟღერს, — თქვა ახალგაზრდამ.

— ვიცი, მაგრამ ეს პრაქტიკაზე მუშაობს. სინამდვილეში, ეს მუშაობს იმდენად კარგად, რომ, მაგალითად, რეკლამების დამამზადებლები მუდმივად იყენებენ „ღუზებს“, რათა საქონლის დანახვის დროს მაყურებლებს გაუჩნდეს სასიამოვნო გრძნობები.

— მაგრამ როგორ აკეთებენ ისინი ამას? — შეეკითხა ახალგაზრდა. — რეკლამას ხომ არ შეუძლია შეეხოს სხეულს.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 148-152

◎ სუსტი ადგილი

დიდი ძმა პრიზმიდან დაგყურებს...

კაცობრიობას მაღალი ტექნოლოგიების უკონტროლო განვითარება ემუქრება

„მსოფლიოს სპეცსამსახურების ოჯახი მართავს“ – ამერიკული ბლოკბასტერის „შეთქმულების თეორიის“ ერთ-ერთი გმირის ეს ფრაზა ცოტა უზუსტოა. რეალურად მსოფლიოს მართავს ძალოვანთა, კორპორაციათა და ფინანსისტთა ტრიადა და მათ რომ ჰკითხო, საკმაოდ მარჯვედაც. დროდადრო მათ შორის მაინც წამოიჭრება ხოლმე კონფლიქტები, ზოგჯერ ერთობ სერიოზული.

ადრე ამგვარ კრიზისებს ხისტი მეთოდების გამოყენებით დაუძვრებოდნენ ხოლმე, როგორც, მაგალითად, ძმები კენედების მკვლელობა, გინდ მარტინ ლუთერ კინგისა. მერე უფრო დახვეწილი ტექნოლოგიები ამოქმედდა, როგორც უოტერგეიტის შემთხვევაში.

ტექნოლოგიათა სფეროში რევოლუციამ შექმნა წინა ხანებში არნახული ინფორმაციული იარაღი – ინტერნეტი, მობილური კავშირი, თანამგზავრული ტელეკომუნიკაციები, ზემგრძნობიარე მოსასმენი და მოთვალთვალე მოწყობილობები. ახლა არცაა საჭირო კონკურენტის ან მტრის ფიზიკური მოკვლა, ის შეიძლება მაკომპრომეტებელი მასალის (მაკომპრომასის) შემოგდებით მოსპო. მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოებს მილიარდებიანი ბიუჯეტები და, შესაბამისად, იმნაირი რთული საინფორმაციო „სპეცპროექტების“ რეალიზების შესაძლებლობა აქვთ, რომელთა არც ჩაწვდომა ხერხდება და არც გაქარწყლება. ცსს-ის (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო) გაქცეული აგენტის ედვარდ სნოუდენის ირგვლივ ავარდნილი სკანდალი ასეთი სპეცპროექტის კლასიკური მაგალითია.

ყველაზე სასაცილო ისაა, რომ არაფერი ახალი ამ კაცს არ უცნობებია: დიდი-დიდი, იმ კომპიუტერული პროგრამის (PRISM) კონკრეტული დასახელება, რომლის დახმარებითაც ცსს ჯაშუშობდა საზღვარგარეთული ქვეყნების დიპკორპუსს. უბრალოდ, „ვაშინგტონ პოსტსა“ და „გარდიანში“ სნოუდენის დოკუმენტების პუბლიკაციამ გარკვეული რეალობა აქცია მსოფლიო მასშტაბის მედიაფაქტად.

ელექტრონული დაზვერვის გარეშე არ შეიძლება ბრძოლა არც ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, არც ყველა ჯურის ტერორისტებსა თუ ექსტრემისტებთან. რუსეთელი სპეციალისტები ამ დარგში დამსახურებული მსოფლიო ავტორიტეტით სარგებლობენ. რუსეთის შსს-ს სპეციალურ ტექნიკურ ღონისძიებათა ბიურო და „K“ სამმართველო წარმატებით უთვალთვალებენ, მაგალითად, ინტერნეტ-თაღლითებს, ხაკერებს, პედოფილებსა და უბრალოდ ხულიგნებს, მსოფლიო ქსელი რომ გაუვსიათ მავნე ვირუსებით. აქვე სათქმელად, ამერიკელები ფრიად თავგამოდებით ეკიდებიან ინტერნეტის რუსეთელ გუშაგებს.

პრინციპში ყველა ექსპერტი საერთო აზრისაა იმაზე, რომ ახლანდელი სახით ინტერნეტი საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფოთა ეროვნული უშიშროებისათვის, გამოუსწორებელ ზიანს აყენებს საზოგადოებრივ მორალსა (პორნოგრაფიული საიტები აურაცხელი და ადვილად მისაწვდომია) და მთლიანად საზოგადოების სიჯანსაღეს. შეიძლება ახლო მომავალში მსოფლიო ქსელი მსოფლიო აღარ იყოს და ყოველმა სახელმწიფომ თავისი საკუთარი ეროვნული ქსელი შექმნას.

ოღონდ მოდით, სნოუდენს მივუბრუნდეთ. ფიქრობენ, რომ მას დიდხანს „დაატარებდნენ“ და მერე მხილებათა გზაზე შეაგდეს მეგობრებმა – ბრიტანული „გარდიანის“ ჟურნალისტებმა. სახელდობრ, გლენ გრინვალდმა – მემარცხენემ და გეი-გაერთიანების აქტიურმა მოღვაწემ და მისმა იდეურმა დაქალმა ლაურა პოიტრასმა, ლესბოსელთა უფლებებისათვის მოძრაობის აქტივისტმა. ეს მან დაიყოლია სნოუდენი თავისუფლებისათვის მებრძოლთა დახმარებაზე, სნოუდენმა კი ქალს შესთავაზა დახმარება მსოფლიო უდიდესი ელექტრონული დაზვერვის – აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ სააგენტოსი, რომელმაც შეიმუშავა ელექტრონული შპიონაჟის ყბადაღებული პროგრამა სახელად PRISM.

გრინვალდმა „გარდიანში“ გამოაქვეყნა სნოუდენის მასალები, პულიტცერის პრემიის ორგზის ლაურეატმა გელმანმა კი –„ვაშინგტონ პოსტში“. ეს გამოცემები ინგლისისა და ამერიკის უმსხვილეს ფინანსურ კლანებს მიეკუთვნება; და მიზანი ამ პუბლიკაციებისა, რომლებმაც მარტო ამერიკული სპეცსამსახურების კი არა, პრეზიდენტ ობამას ავტორიტეტიც შელახა, არის ამერიკის გავლენიანი პოლიტიკური წრეების (ვისაც ზურგს უმაგრებენ აშშ-ის სპეცსამსახურები და თვით პრეზიდენტი) იმ განზრახვისთვის ხელის შეშლა, რომ ბოლო მოუღოს მსოფლიო ფინანსური კაპიტალის ინტერესების მომსახურე აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის(ფსს), ეკონომიკურ მბრძანებლობას; და კიდევ – არ დაუშვას ფსს-ის საქმიანობის სრული აუდიტი, რასაც მსოფლიო მასშტაბის გამომჟღავნებათა გამოწვევა ძალუძს.

კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე ინფორმაციულ იარაღს იყენებს. მაკომპრომასის შედეგები სხვადასხვა მსოფლიო და ეროვნულ საბანკო სტრუქტურებზე ისე ჩნდება, როგორც ნაწვიმარზე სოკოები. ამას მოჰყვა მსოფლიოს ფინანსურ მაგნატთა საპასუხო დარტყმა, რიგით მეორე. პირველი იყო ჯულიან ასანჯი, საერთოდ წმინდა წარმომადგენლობითი ფიგურა. ისეთ სტრუქტურებში, როგორიც ვიკილიკსია, რომელიც, აქვე სათქმელად, სხვადასხვა ნარინჯისფერ და ჭაობის რევოლუციაში სერიოზულ მაორგანიზებელ როლს თამაშობდა და თამაშობს, რეალურ სამუშაოს ასრულებს, როგორც წესი, რამდენიმე პროფესიული ხაკერი. მთელ შრომას ისინი ეწევიან, იმ დროს, როცა მგზნებარე ასანჯი საბრალო შვედ გოგონებზე ძალადობს. ასანჯსა და სნოუდენს თუ შევადარებთ, პირველს აქამდე არ ესმის, თუ ვისგან არის „შობილი“, ხოლო, რაც შეეხება მეორეს, ის ნაღდად წიგნიერი ინტრიგანია; თანაც გრინვალდთან თითქოს რომანტიკული ურთიერთობები დაუმყარდა...

რასაკვირველია, ეს ვერსიები არამცდარამც არ გამოდგება გზამკვლელად მსოფლიო კონკურენტულ ბრძოლაში, სადაც გამოიყენება არა მარტო ინტერნეტის მაღალი ტექნოლოგიები, არამედ მალული ტექნოლოგიური ზემოქმედებებიც საზოგადოებრივ აზრზე. თუმცა, ჭეშმარიტება სადღაც ახლოსაა.

გავიხსენოთ, რომ სნოუდენს, საერთოდ, არაფერი ახალი არ შეუტყობინებია. ჯულიან ასანჯის მიერ ვიკილიკსის მეშვეობით გამომზეურებულ მასალებში კი არც ერთი დოკუმენტი არ არის გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“. ეს ნიშნავს, რომ ინფორმაციული ომი მსოფლიო ელიტებს შორის მიმდინარეობს ერთგვარი საიდუმლო წესებით, რომლებიც არცროდის არ იღვევა და ეს საერთაშორისო განხეთქილებები გავლენას ახდენს მხოლოდ მსოფლიოს მმართველ ძალოვანთა, გიგანტურ კორპორაციათა და ფინანსურ ზვიგენთა ტრიადაში ძალთა თანაფარდობაზე.

შეიძლება კი თავის დაცვა ყველაფრისმიმწვდომი ელექტრონული თვალთვალისაგან? შეუძლია თუ არა ჩვეულებრივ მოქალაქეს თავისი კერძო ცხოვრების დაცვა ზომაზე მეტად ცნობისმოყვარე დიდი ძმისაგან?

პასუხი უარყოფითია. აშშ-ის (დიდი ძმის!) ეროვნული უშიშროების სააგენტო, მსოფლიოში ყველაზე მძლავრი სპეცსამსახური, ათეულობით მილიარდი დოლარი ბიუჯეტის, თანამგზავრ-ჯაშუშთა უდიდესი დაჯგუფებისა და სატელეფონო საუბრების მოსმენის გლობალური სისტემის მქონეა. დენ ბრაუნის ბესტსელერში „ციფრული ციხე-სიმაგრე“ დაწვრილებითაა მოთხრობილი ამ სააგენტოს უსაზღვრო შესაძლებლობებზე, ამასთანავე, მსოფლიოში ყველაზე მძლავრი კომპიუტერების მფლობელისა. ამერიკული სპეცსამსახურების შესაძლებლობები გამუდმებით იზრდება; როგორ უნდა დაიცვა ეროვნული უშიშროება და უბრალოდ პირადი ცხოვრება, როცა ვიდეოთვალთვალის სისტემები მონტირებულია უზარმაზარ სათვალეში კი არა, არამედ, უბრალოდ, საკონტაქტო ლინზებში ან უბრალოდ შეტანილია თვალის ბადურაზე მიკროელექტროდული ტექნიკის დახმარებით? სასმენი მოწყობილობები შესამჩნევი გახდება მხოლოდ მიკროსკოპით?

ეგებ ელექტრობა აიკრძალოს? მგონი, ყველაფერი ამისკენ მიდის. აგერ, უკვე რუსეთის სპეცსამსახურებმა საბეჭდი მანქანების პარტიის შესყიდვა გადაწყვიტეს სუპერსაიდუმლო დოკუმენტების დასამზადებლად. რეალურ ციფრულ სუვერენიტეტზე, რომელიც შესაძლებელია ოდენ რუსეთული სერვერებით განახლებადი სამამულო ოპერაციული სისტემის დამუშავების შემთხვევაში, ლაპარაკიც კი აღარ ისმის.

ისე ჩანს, მალე სახელმწიფო საიდუმლო განკარგულებებს გრანიტში ამოვკვეთავთ, როგორც უძველეს ხანებში; ან, კიდევ უკეთესი, ლურსმნით არყის ხის ქერქზე?...

მოამზადა
ლუკა გორგაძემ

◎ ტურიზმი

რაზე კაცს სტუმრობა კვლავაც მოუნდეს

(მეხუთე გვერდიდან)

სხვადასხვა ტელეარხით საქართველოზე სარეკლამო ტურისტული რეკლამები გადის, არის ინტერნეტრეკლამაც და ონლაინმარკეტინგი, რასაც ინტენსიურად ეწევა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი, რომელიც ახალი ტურისტული ინტერნეტ-საიტის შექმნასაც გეგმავს. ასევე აპირებენ ტურიზმის ელჩების ინსტიტუტის შექმნას, რომელშიც ჩართულები იქნებიან სხვადასხვა ქვეყანაში ავტორიტეტული პირები, რომლებიც საქართველოს ცნობადობის გაზრდას შეუწყობენ ხელს და, ვიმედოვნებთ, რომ ყოველივე ამის ერთობლივობა სასურველ შედეგს მოიტანს.

სამწუხაროდ, საქართველოში ტურიზმის წარმატებული განვითარების ხელის შემშლელი რამდენიმე სუბიექტური და ობიექტური მიზეზი არსებობს, რომელთა შორის უმთავრესი, ცხადია, ოკუპირებული ტერიტორიებია. თუმცა, არანაკლებ პრობლემებს ქმნის ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება და მომსახურების დაბალი ხარისხიც.

იმის გამო, რომ აფხაზეთი კვლავაც რჩება საქართველოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, ქვეყანაში უცხოური თუ შიდა საზღვაო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ყველაზე მიმზიდველი მხარე აჭარა რჩება, სადაც სეზონი წლეულს მაისში დაიწყო, რასაც კარგმა ამინდებმა შეუწყო ხელი. გაიზარდა რეგულარული და ჩარტერული ავიამიმოსვლა და აქ დიდი როლი შეასრულა ქუთაისში კოპიტნარის აეროპორტის ამოქმედებამ და მგზავრობის დაბალმა ღირებულებამ. გრძელდება ბათუმის ღირს შესანიშნავი ადგილების მოწესრიგება-მოდერნიზება, დიდი ყურადღება ექცევა მთიან აჭარაში ტურისტების სოფლისა და ღვინის ტურებში ჩართვას.

ზოგადად კი, საზღვაო და სამთო-სათხილამურო ტურიზმის გარდა, საქართველოში სხვა სახეობის ტურიზმის განვითარების საუცხოო პერსპექტივებია, მათ შორის უპირველესი, ჩვენი აზრით, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიმართულებაა, რაშიც მკითხველი თავად დარწმუნდება ჩვენი ოდიდგანვე ცნობილი საკურორტო-სამკურნალო ადგილების უბრალო ჩამონათვალსაც თუ გადაავლებს თვალს: წყალტუბო, საირმე, ბორჯომი, შაორი, მენჯი, ახტალა. პერსპექტიულია ასევე რეკრეაციული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სამონადირეო მიმართულებები...

წელან ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ პირობად მომსახურების არასაკმარისი დონე დავასახელეთ, რომელსაც მთელ მსოფლიოში უდიდეს ყურადღებას აქცევენ, რაც სავსებით გასაგებია: უცხო ქვეყანაში დასვენება და კვება მოგზაურობისგან მიღებული სიამოვნების უპირველესი მდგენელია. ამ მხრივ პოტენციური ტურისტის ყურადღებას უწინარესად სასტუმროების თუ რესტორნების რეიტინგი, მათი „ვარსკვლავურობა“ იპყრობს. ცოტა ხნის წინათ სხვადასხვა მომსახურებისთვის სასტუმროებისა და რესტორნებისთვის ვარსკვლავების მინიჭება არაკომერციულმა ორგანიზაციამ ასოციაცია „გლობალ სთარმა“ დაიწყო. მანამდე ამ საქმიანობას უცხოური საშუამავლო კომპანიები ეწეოდნენ, რომლებიც დაინტერესებულ ადგილობრივ ტურისტულ სააგენტოებს პრესტიჟულ უცხოურ კომპანიებს აკავშირებდნენ, რომლებიც ამ მიმართულებით საქმიანობას დღესდღეობითაც განაგრძობენ. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო გარემოება: საკუთარ ქვეყანაში ამა თუ იმ სახის სერვისის ხარისხს ადგილობრივი კომპანიები ანიჭებენ, რაც საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტისთვის ვარსკვლავის მინიჭება ერთობ რთული პროცესია, რომელიც დაახლოებით სამასი კრიტერიუმის ერთობლიობას ითვალისწინებს, რა დროსაც ყურადღება თითქოსდა უმნიშვნელო დეტალებსაც ექცევა და საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. „გლობალ სთარისგან“ განსხვავებით ამავე მიმართულებით მოღვაწე საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია გერმანულ კომპანია „ტუვთან“ თანამშრომლობით მოქმედებს, რომელიც ქართულ კომპანიებს ე.წ. ISO სერტიფიკატებს ანიჭებს. ასოციაციამ გერმანიის დამსაქმებელთა კონფერენციასთან ერთად „საქართველოს სასტუმროების ხელშეწყობის პროექტის“ განხორციელება დაიწყო, რაც მათთვის ვარსკვლავების მინიჭებას და პროცესის ჩამოყალიბებასა და სწორად წარმართვას გულისხმობს, ეს კი საქართველოს სასტუმროების ერთიან ევროპულ ბაზარში ინტეგრირებას შეუწყობს ხელს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ პოლიტიკური თამაშები

არც განსხვავებული აზროვნება, არც შორსმჭვრეტელობა

არის თუ არა მოსკოვის სამიტის ჩაშლა სალი გადაწყვეტილება?

მსოფლიოს პოლიტიკური წრეები თვეზე მეტია გაფაციცებით აკვირდებიან აშშ-რუსეთს შორის შექმნილ ვითარებას. ორი სუპერ სახელმწიფოს დაპირისპირება კარგს არც მათ მოუტანს და არც მსოფლიოს. ამ დაპირისპირებაში ორივეს თავისი მომხრეები ჰყავს — ძლიერიც და გავლენიანიც, რაც უკიდურესი დაპირისპირების შემთხვევაში, თავის სიტყვას იტყვის. ვაშინგტონ-მოსკოვს შორის არსებულ სერიოზულ უთანხმოებას ისეთ საკითხებში, როგორებიცაა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგება ევროპაში, სირიის ომი, ირანის ბირთვული პროგრამა, არასამთავრობოებსა და გეებთან დამოკიდებულება, სნოუდენის საკითხიც დაემატა, რომლისთვისაც თავშესაფრის მიცემა ის მწვავე წვეთი გამოდგა, რომელმაც საბოლოოდ მოუწამლა ვაშინგტონს გუნება-განწყობილება და ერთობ უსერსული გადაწყვეტილების მიღებისკენ — ორი პრეზიდენტის მოსკოვის სამიტის გაუქმებისკენ უბიძგა.

არადა შეხვედრის შესახებ გადაწყვეტილება დიდი რვიანის ბოლო სამიტზე მიიღეს. აშშ-ის პრეზიდენტისთვის (ტექნიკური თვალსაზრისით), სანკტ-პეტერბურგის დიდი ოცეულის შეხვედრის შემდეგ, მოსკოვში პუტინთან დიალოგი მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მარტო ტექნიკური თვალსაზრისი საკმარისი არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოლიტიკური განაწყენება იჩენს თავს. ამერიკისთვის სნოუდენის გადაუცემლობამ გაანაწყენა ვაშინგტონი.

შეეძლო თუ არა რუსეთს სნოუდენის ამერიკელთათვის გადაცემა? ცხადია, შეეძლო, ოღონდ ამით მისი, როგორც სუპერსახელმწიფოს როლი მსოფლიოში დაკნინდებოდა. რუსეთი იქნებოდა ისეთი, როგორიც ევროპის ქვეყნები — ვაშინგტონის დაკრულზე მომღერალ-მოცეკვავე. გარდა ამისა, გადაცემა არაადამიანურ, არაჰუმანურ აქტად ჩაითვლებოდა და ის ქვეყნებიც, რომლებიც ვაშინგტონის ნებისმიერ სურვილს აკმაყოფილებენ, პუტინის ასეთ ნაბიჯს არაკაცურად ჩათვლიდნენ.

პუტინს, უდავოდ, სურდა მოსკოვის სამიტის გამართვა, მაგრამ სამიტზე მაღლა ერთი ადამიანის სიცოცხლე დააყენა, რაც უდავოდ მისასალმებელია.

ამერიკელი ექსპერტები თვლიან, რომ სამიტზე უარის თქმა დიდი შეცდომაა, ვინაიდან, ერთი ადამიანის (სნოუდენის) გამო, ქვეყნების ურთიერთობა არ უნდა შეფერხებულიყო. თუმცა, არიან ისეთებიც, მაგალითად, სენატორი მაკკეინი, რომელიც არა მარტო სამიტის გაუქმებას მოითხოვდა, არამედ სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირებასაც. მაგრამ ამ მოწოდებას პრეზიდენტმა ობამამ დაუსვა წერტილი - „ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ბოიკოტი არ ექნება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა სნოუდენთან დაკავშირებით დიდად დაგვწყვიტა გული“.

ობამამ ისიც თქვა, რომ მარტო სნოუდენის თემა არ ყოფილა განხეთქილების საბაბი. სირიის, ირანის და ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების საკითხები იყო მთავარი სამიტის ჩაშლისთვის.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთთან ურთიერთობა საჭიროებს პაუზას და შესწავლას იმისა, საით მიდის რუსეთი. ჩამოთვლილ ნეგატივში მან მოიხსენია რუსეთში ადამიანის, მათ შორის, პედერასტთა უფლებების დარღვევა, სირიისა და ირანის საკითხები.

ის, რომ ობამასთვის პუტინი მოუხერხებელი პარტნიორია, ისედაც ნათელია, მაგრამ ობამამ სხვაგვარად აღნიშნა ეს — პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ რუსეთში ანტიამერიკულმა რიტორიკამ იმატა და ცივი ომის პერიოდს ემსგავსებაო. ერთმანეთისადმი მიუღებელი რიტორიკის თვალსაზრისით, ძნელია რომელიმეს გამოყოფა. თითოეული მათგანი „მოწოდების“ სიმაღლეზეა და არც ერთი მხარე თავს არ იზღუდავს.

გაიბუტა ობამა, და შეხვედრაც ჩაშალა, რაც მსოფლიო პოლიტიკის მოჭირნახულე პოლიტიკოსის უსუსტესი გადაწყვეტილებაა. აშშ-ის და რუსეთის ისტორიაში მსგავს მომენტს ვერ იხსენებენ და არა მარტო რუსეთის, არამედ „ავადსახსენებელი“ საბჭოთა კავშირის დროსაც, თუმცა, ეკზოტიკური ხრუშჩოვის პერიოდში იყო ასეთი რამ. მაშინ ხრუშჩოვმა თქვა ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრაზე უარი ამერიკული უ-12 თვითმფრინავის საბჭოთა ტერიტორიაზე შემოფრენის გამო.

ისტორია განმეორდა — ათეული წლების და საბჭოეთის დანგრევის შემდეგ, ოღონდ ამჯერად აშშ-ის პრეზიდენტის მხრიდან.

იმას, რომ კონგრესში ანტირუსული თემა აქტუალურია, მტკიცება არ სჭირდება. ვაშინგტონი ვერ ეგუება მოსკოვის სიჯიუტეს, დამოუკიდებელ პოლიტიკას. ვაშინგტონი სხვა ქვეყნების განსხვავებულ აზრსაც ვერ ეგუება, მაგრამ ის სხვები „სხვებია“. რუსეთი მძიმეწონიანია, ამდენად მისი ქმედება მძიმედ აღიქმება და ეს მაშინ, როდესაც აშშ-ს უამრავი პრობლემა აქვს. მარტო 17 ტრილიონი დოლარის სახელმწიფო ვალი რად ღირს? რომ არაფერი ვთქვათ უმუშევრობაზე, ეკონომიკურ ჩავარდნებზე...

ეს პრობლემები რომ აშშ-ის საზღვრებს გარეთ არ გადიოდეს, კიდევ არაფერი, მაგრამ გლობალიზაციამ დიდი და პატარა ქვეყნები მჭიდროდ მიაბა ერთმანეთს. ვაშინგტონში დაცემინებას სხვა ქვეყნების ფილტვების ანთება მოჰყვება. ასეთ დროს ყბადაღებული რუსული თემა გაუგებარია. სამწუხაროდ, კონგრესში არიან სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც ობამას დაყოლიებას ცდილობენ, ერთმა ჯგუფმა წარმატებასაც მიაღწია, პუტინთან შეხვედრის გაუქმების თვალსაზრისით. მეორე ჯგუფი მოუწოდებს პრეზიდენტს, ბოიკოტი გამოუცხადოს სოჭის ოლიმპიურ თამაშებს.

რესპუბლიკელი სენატორი ლინსდეი გრემი იმასაც სთხოვდა პრეზიდენტს, რომ „დიდი ოცეულის“ სანკტ-პეტერბურგის სამიტი სხვაგან გადაეტანათ. მას მხარი დაუჭირა დემოკრატმა სენატორმა ჩარლზ შუმერმა. გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტ“-მა გააკრიტიკა პრეზიდენტი ობამა სისუსტისთვის და მოსთხოვა მას, მეტი სიმკაცრე გამოიჩინოს რუსეთის წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებს, 1979 წელს ავღანეთში შეჭრისათვის გამოეცხადა ბოიკოტი. აშშ-მა მილიონობით დოლარი ჩაყარა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარის გამოსადევნად, შედეგი — ალ-ქაიდა, თალიბანი და 11 სექტემბერი და, რაც მთავარია, საკუთარი 12-წლიანი ავღანეთი — ათასობით ამერიკელის სიკვდილით, ქარს გატანებული მილიარდებით.

დიდი პოლიტიკა სხვა აზროვნებას მოითხოვს, ამასთანავე შორსმჭვრეტელობასაც. სამწუხაროდ, თანამედროვე პოლიტიკაში მსგავსი რამ არცთუ თვალში საცემია.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

დედამიწის ზურგზე

სნოუდენის შეფასებით რუსეთმა „ერთიანი“ მიიღო - დაიკავა რა პირველი ადგილი აშშ-ის საჯაშუშო მიზნების რეიტინგში

ეროვნული ინფორმაციის სააგენტო ახარისხებს სამიზნე ქვეყნებს ხუთბალიანი შკალით, რომელშიც „1“ განეკუთვნება დაზვერვისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფოებს, იტყობინება დევნილი ტექნიკური სპეციალისტის მიერ მოპოვებული დოკუმენტები. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ევროკავშირში ეს ცნობები სკანდალებით იმუქრება: ევროპული ქვეყნები შეიძლება ნაწყენები დარჩნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მათ კამბოჯასთან ერთ დონეზე აყენებს.

სირიის მეფემ 100 მილიონი დოლარი შესწირა ბრძოლას ტერორიზმთან

სახსრები დაიხარჯება ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ცენტრის მშენებლობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. როდესაც დიდ შეწირვაზე საუბრობდა, აბდალა ბინ აბდულ აზიზმა აღნიშნა, რომ ტერორიზმი არაბებისთვის უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე მტრული სახელმწიფოები.

მიწისძვრა ტიბეტში: არ არის კავშირი სამ სოფელთან

ჩინეთის სეისმოლოგიურმა ცენტრმა 6,1 ბალის სიძლიერის მიწისქვეშა ბიძგები დააფიქსირა; ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — 5,7. სპეციალისტების აზრით, ამ მასშტაბის სტიქიას შეუძლია მოიტანოს საკმაოდ სერიოზული ზარალი. უკვე დაფიქსირებულია დაახლოებით 60 აფტერშოკი 5,1 მაგნიტუდით. იმავე ღამით მიწისძვრები მოხდა იაპონიასა და პანამაში.

საფრანგეთში დააპატიმრეს სამხედრო მოსამსახურე, რომელიც მეჩეთზე თავდასხმას აპირებდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დაკავებული 23 წლისაა, და იგი „მხარს უჭერს იმ იდეებს, რომლებიც მეტად ახლოა მემარჯვენე რადიკალურ დაჯგუფებებთან“. გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ სამხედრო მოსამსახურე აპირებდა ცეცხლსასროლი იარაღით ცეცხლი გაეხსნა ლიონის ერთ-ერთი მეჩეთისთვის.

◎ შავი ღრუბლები თეთრი დედაუნივერსიტეტის თავზე

ჭკუისა და სინდისის გამოცდის ჟამი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა. 19-მა პირმა გამოთქვა რექტორობის სურვილი, მაგრამ საარჩევნო კომისიამ 14 მათგანი გაატარა რეგისტრაციაში. კანდიდატთა სიას რომ გადავხედე, შევცბი: ჩემი ასაკისა და მდგომარეობის ადამიანს რექტორობის მოსურნე კაცის სახელი და გვარი რომ არ ექნება გაგონილი, ცუდადაა საქმე... — ვისი საქმე? — რა თქმა უნდა, ჩემი (და არა მხოლოდ...)...

* * *

ამიხსნეს: — ზოგიერთი ასე ფიქრობსო, თუ უნივერსიტეტის რექტორი შეიძლება ყოფილიყო გ. ხუბუა ან ს. კვიტაშვილი, მე რატომ არ შეიძლება ვიყო რექტორიო...

რას ერჩი, მართალია კაცი: ბოლო ათწლეულის „საუნივერსიტეტო რეფორმამ“ მისცა საფუძველი ამგვარ ლოგიკას: გააუფასურა უნივერსიტეტის რექტორობა; თორემ „ვარდების რევოლუციამდე“ წარმოიდგენდით, რომ „უსახელგვარო“ კაცს უნივერსიტეტის რექტორობა მოენდომებინა?...

* * *

1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობიდან დაითხოვეს დიდი ივანე ჯავახიშვილი და აირჩიეს ვინმე თეოდორ ღლონტი... მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს ბლოკნოტში ჩაუწერია: „1921 წელს თედო ღლონტი სტუდენტად არ მიიღეს, რადგან სწავლის სტაჟი არ ჰქონდა (სამოქ. სკოლა). დღეს კი, 22/VI რექტორად აირჩიეს“...

საინტერესოა, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო და თსუ რექტორობის მსურველთა სიისათვის გადაეხედა, რას იტყოდა მიხეილ ჯავახიშვილი?..

* * *

1975 წელს ანსამბლ „ორერა —75“-ის ხელმძღვანელს რობერტ ბარძიმაშვილს, პატარა ბიჭი აჰყავდა ხელჩაკიდებული სცენაზე და ეკითხებოდა: „შენ საქართველო გიყურებს ახლა, არ გეშინია?..“

რექტორობის მოსურნეთა სიას რომ გადავხედე, სურვილი გამიჩნდა, კანდიდატთა უმრავლესობისთვის იგივე კითხვა დამესვა... შეიძლებოდა სხვა ვარიანტიც: „შენ საქართველო გიყურებს ახლა, არ გრცხვენია?!“

* * *

თუმცა სიტყვა „სირცხვილი“ რომ ვახსენე, ერთი ქუთაისური დიალოგი გამახსენდა:

— რას აკეთებ, კაცო, სირცხვილიაო... — უთხრეს და...

— მე თუ არ მრცხვენია, მაინც სირცხვილიაო?.. — იკითხა თურმე...

* * *

1912 წელს რუსეთის სათათბიროს არჩევნები იყო. აკაკი წერეთელმა საჩხერეში იყარა კენჭი წარმომადგენლობით არჩევნებში (შემდეგ წარმომადგენლები ირჩევდნენ სათათბიროს დეპუტატს). აკაკის კონკურენტი იყო ვინმე ხუსკივაძე... და აკაკიმ არჩევნები წააგო საჩხერეში, გაიმარჯვა ხუსკივაძემ...

შედეგები რომ გაიგო, აკაკიმ, თურმე, ჩაიცინა და თქვა: „არ მიკვირს, კენჭი ჭკუისა და სინდისის საქმეა; ჩემს ამომრჩეველს ორივემ უღალატაო“...

2013 წლის 16 აგვისტოს კიდევ ერთხელ (!) დადგება თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა „ჭკუისა და სინდისის“ გამოცდის ჟამი... თუმცა ამჯერად საზოგადოების ინტერესი არის დიდი და ამან პასუხისმგებლობა უნდა გაუღვიძოს აკადემიური საბჭოს წევრებს...

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთა ორი რიგი არსებობს:

1. პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი... ა. ჯანელიძე, ნ. კეცხოველი, ვ. კუპრაძე, გ. ძოწენიძე, ე. ხარაძე, ი. ვეკუა... და

2. თ. ღლონტი, მ. ტოროშელიძე, ი. ვაშაყმაძე, ა. ერქომაიშვილი, ლ. აღნიაშვილი, კ. ორაგველიძე (ექვსივე დახვრიტეს 1937 წელს)... გ. ხუბუა, ს. კვიტაშვილი.

16 აგვისტოს აკადემიურ საბჭოს აქვს შესაძლებლობა, გააგრძელოს ნებისმიერი — პირველი ან მეორე — რიგი; მათ „ჭკუასა და სინდისზეა“, როგორც აკაკი იტყოდა, დამოკიდებული უნივერსიტეტის ბედი...

და მაინც: როგორ მოიქცევა საბჭო, ძველებურად შეასრულებს „შეკვეთას“, თუ იფიქრებს დედაუნივერსიტეტის მომავალზე?..

* * *

ისევ ქუთაისური დიალოგებიდან.

მეოთხე ცოლს რომ გაშორდა და მეხუთე რომ მოიყვანა, ჰკითხეს:

—ახლა მაინც თუ ხარ ბედით კმაყოფილიო?..

— ეჰ, ცოლი ყველა ცოლია, სახელი აქვთ სხვადასხვაო...

ნამდვილად არ მინდა, ეს ამბავი გამახსენოს ამ საეტაპო არჩევნების შემდეგ „ჯავახიშვილის სავარძელში“ აღმოჩენილმა ახალმა რექტორმა...

* * *

საუკუნენახევრის წინათ აკაკი წერეთელმა რიტორიკული შეკითხვა დასვა: „ვინ არ იცის, რომ ჩვენი ბედისწერა განათლებაზედ არის დამოკიდებულიო“...

თუმცა ამ შეკითხვას აქვს პასუხი... ძვირფასო მკითხველო, მე ვიცი ეს პასუხი... თქვენ?..

გიორგი გოგოლაშვილი

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

და იდგა ნაღვლიანი აგვისტო...

უმალ გაპარულა ხუთი წელი... რუსეთთან უთანასწორო ბრძოლაში დაცემული ჩვენი ვაჟკაცი ბიჭების საფლავებს აჩვენებენ ტელევიზიით... შაოსანი დედების, დაქვრივებული მეუღლეების, დაობლებული, უკვე წამოზრდილი შვილების ცრემლიან თვალებს აჩვენებენ... აი, მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ბაქიბუქა პრეზიდენტის (მგონი, ჯანსუღმა, „შადრევან პირველი“ რომ შეარქვა) თავკაცობით... დაღვრემილია მიშა, ცრემლიც უკიაფებს თვალებში „დიდ მსახიობს“. სწორედაც რომ „დიდ მსახიობს“, ...აბა, სხვას ვის შეეძლო მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, თუ როგორ დავამარცხეთ რუსეთის არმია — ამ ბიჭების ცხედრები, ჯერაც რომ გამოტანილი არ იყო ცხინვალის მიდამოებიდან, უამრავი ხალხი შეეკრიბა რუსთაველზე, პარლამენტის წინ და, „მეგობარი“ ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, რუსეთზე გამარჯვება ეზეიმა, რამაც, გახსოვთ, ალბათ, შვილმკვდარი დედების და დევნილებად ქცეული ადამიანების აღშფოთება გამოიწვია.

მერე რა, ის აღშფოთებაც ჩაცხრა, ხუთი წელიც გავიდა, „შადრევან პირველი“. კი ისევ ბოგინობს, ახალ ხელისუფლებას, რაც შეუძლია, ეიაზვება, ჭკუას ასწავლის, თან რომელიღაც ტელეეკრანზე სინანულით აცხადებს, ერთი წელი კიდევ მინდოდა იმისთვის, რომ რამდენიმე გრანდიოზული მშენებლობა დამემთავრებიაო... რაც დაამთავრა, ხომ ავ თვალს არ ენახვება?! ამის სამაგალითოდ ქუთაისში, უკვე მასხრად აგდებული, პარლამენტის შენობაც კმარა!..

აი, შადრევნებს კი მართლაც ბლომად გვიტოვებ, „შადრევან პირველო“...

ეეეე... როგორც იმერეთში იტყვიან, „ნეტაი შენ!“

თეთრსალათიანები ქუჩაში...

ახალს არაფერს ვამბობ — არსებობენ პროფესიები, რომლებიც, ჭეშმარიტად, გადამეტებული პატივისცემითა და მოკრძალებით გვავსებენ. ამდენად, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ერთ დღესაც, ამ ყოვლისმნახველ ჩვენს ქუჩებში, ხალათგაქათქათებულ ექიმებსაც ვნახავდი, რომლებიც აქციას გამართავდნენ თვეობით აუღებელი ხელფასის მოთხოვნით!..

ხომ ნახეთ, ტელევიზორში რა ამბავი იყო? და განა მარტო თბილისში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიმართა ექიმთა აქციები, იმ ადამიანთა გამოსვლები, რომლებიც დღე და ღამ ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას აყურადებენ (ის პატივისცემაც და მოკრძალებაც აქედან მოდის). დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, თვითონაც რა უხერხულად გრძნობდნენ თავს...

ჰოდა, რას ჰგავს ეს პატივცემულო ხელისუფლებავ?! ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, რომელიღაც ფირმას აბრალებს ხელფასების დაგვიანებას, ფირმა უკან აბრუნებს ბრალდებას, ჩვენ გადარიცხული გვაქვს თანხაო!.. სირცხვილია, სირცხვილი!.. უკვე ავსტრალიას გასცდებოდა ცნობა, რომ არსებობს დედამიწაზე ქვეყანა (თანაც დიდი ამბიციების), სადაც ექიმები, კარგა ხანია, კუთვნილ ხელფასს ითხოვენ!..

შენმა სახელმა გორიდან, ევროპას გადაანათა!..

უფროსი თაობის ადამიანებს, მეტადრე, ქართული პოეზიის, კერძოდ კი გიორგი ლეონიძის ლექსის მოყვარულთ, შეუძლებელია არ ახსოვდეთ „ქართული პოეზიის ლომის“ ბრწყინვალე ლექსი — მიძღვნილი დიდი სტალინისადმი, რომელშიც არის ასეთი სტრიქონი: „შენმა სახელმა ქოხიდან, მსოფლიოს გადაანათა!“ ჰოდა, დავაშავე რამე? ქართველებს ხომ პატარა სიხარულიც გვეყოფა? გამახსენდა ეს სტრიქონი გორის „დილას“ ვაჟკაცური თამაშის და მოგების შემდეგ სპლიტის „ჰაიდუკთან“ და პერიფრაზიც გავაკეთე ლეონიძის ლექსისა: „შენმა სახელმა გორიდან, ევროპას გადაანათა!“ ხომ მართლაც გაიგო ევროპამ, რომ თბილისის „დინამოს“ გარდა, საქართველოში არსებობს საფეხბურთო კლუბი „დილა“, რომელმაც უკვე მიიქცია სპეციალისტთა თუ ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღება, ისე თამაშობს, გოლი არ გაუშვია, ჯერჯერობით, ევროპის ლიგაზე და, მგონი, გვპირდება, თქვენ ვენის „რაპიდთან“ ნახეთ, რეებს დავატრიალებო!

რაც თვალში მომხვდა და ყურს ეხამუშება

უამრავი ქართველის მსგავსად, სამწუხაროდ, მეც ტელევიზიით ვნახე ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ახალი სეზონის გახსნა. რა ვქნათ, ბატონო, ცოტათი მაინც მიამსგავსოს ამ „დინამომ“ თამაში, უფროს თაობას რომ „დინამო“ გვინახავს, იმ თამაშს და, სახლში გამჩერებლისა, რა ვთქვი! მაგრამ ეს სხვა თემაა, მე მინდა მკითხველს გავუზიარო ის უსიამოვნო შთაბეჭდილება, რაც ამ თამაშში, თბილისის „დინამოსა“ და ზესტაფონის „ზესტაფონის“ მატჩის დროს თვალში მომხვდა და ყურს ეხამუშა. ეს არის, ბატონებო, ისევ და ისევ აგდებული, უყურადღებო დამოკიდებულება მშობლიური ქართული ენისადმი.

თქვე კაი ხალხო, გუნდების ხელმძღვანელებო, კარგი ქართული შრიფტით, გაშლილად, ანდა ინიციალით მაინც დაგეწერათ მაისურებზე საკუთარი გუნდის სახელწოდება? ფეხბურთელების გვარების მაისურებზე დაწერაც აღარ არის მოდაში? აბა, რა ვიცი. მოკლედ, ეგ იყო, რაც თვალში მომხვდა.

ახლა კი თქვენთან ვარ „ალავერდს“ ჩვენო კარგო, ნიჭიერო კომენტატორო ბიჭებო: ყურს ეხამუშა, ეუცხოვა, ეუხერხულა გამოთქმა — **„მიხეილ მესხზე“.** კი, მივეჩვიეთ გამოთქმას „დინამოზე“, „ლოკომოტივზე“ და, ცხადია, ამან გამოიწვია, ...იქნებ დაუკვირდეთ! ასევე დაუშვებელია მსმენელს გავაგონოთ — **„დინამო“ გადავიდა შეტევაში“, „ჯარიმა გამოიმუშავა“, „ფრის მიღწევა“** და ასე შემდეგ... (ღმერთო, დიდებულო! საკალათბურთო მატჩის დროს, ერთხელ, ესეც გავიგონე: **„პარკეტი დატოვა“)...** მეგობრებო, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რადიორეპორტაჟის დროს, გინდა არ გინდა, სწრაფად უნდა ილაპარაკო და, შეიძლება, საუბარში შეცდომაც დაუშვა, მაგრამ ტელევიზორში რაა საჩქარო? მაყურებელი ყველაფერს ხედავს, ამიტომ კომენტარიც უფრო დინჯად გააკეთეთ, და, თავისთავად, უხერხული გამოთქმებიც მოიკლებს.

მოთმინებითა შენითა, ამირან!

ძლივს დაიმედებული ვნახე ქართული პანტომიმის ფუძემდებელი, პანტომიმის თეატრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ამირან შალიკაშვილი. იდგა იგი „ზემელზე“, „აზარიანცის“ სახლთან, სადაც, მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრის ამ შენობიდან წასვლის შემდეგ, მის თეატრს, როგორც იქნა, აღირსეს დაბინავება.

— მგონი გადაწყდა ჩვენი თეატრის აშენების საკითხი, — მეუბნება ამირანი.

რაღა გინდათ, ხომ ხართ ამ შენობაში?..

— სად ვართ, ძმაო!.. ასეა, რომ არ კითხულობ ჩემ ამბავს!.. ეს შენობა და ჩვენი თეატრის ადგილსამყოფელი 1 ლარად მიჰყიდა ბატონმა სააკაშვილმა „ზარალას“, მე კი 100000 ლარი მომცა, რომელიც არაფრად არ ეყოფოდა ჩვენს გასაჭირს და უკან დავაბრუნე... შარშან, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მიდგნენ-მოდგნენ და, ბოლოს და ბოლოს, ალექსანდრეს ბაღში სანდრო მრევლიშვილის ყოფილი თეატრის ადგილზე აგიშენებთ თეატრსო, მითხრა მერიამ. ვნახოთ, იქ თეატრის აშენებას გვარიანი თანხა უნდა, დღე-დღეზე ველოდები გამოყოფას და მშენებლობის დაწყებას, ამიტომაც შევრჩი ამ ზაფხულზე თბილისს, თუმცა ამას ვინ დაეძებს, ეგებ, გვეშველოს რამე!..

— ღმერთმა გიშველოს ამირან! როგორც იტყვიან, მოთმინებითა შენითა!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ სამარცხვინო დაპირისპირება

ქართული საკალათბურთო სამყარო ორად გაიყო

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში დანიშნული საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა მოულოდნელობებით აღსავსე აღმოჩნდა. დღის წესრიგში იდგა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება და სხვადასხვა საკითხები.

საპრესკონფერენციო დარბაზში დანიშნულ დროს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და აღნიშნული ფედერაციის გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი გამოცხადდნენ. ამ უკანასკნელმა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის მიერ მიღებული მოულოდნელი განცხადება გააკეთა:

„საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის წინა დღეებში აღნიშნული ყრილობის დელეგატებზე სხვადასხვა თანამდებობის პირთა და ორგანიზაცია „კალათბურთელთა კავშირის“ მხრიდან გაუგონარი ზეწოლა განხორციელდა.

დელეგატებს სხვადასხვა ფორმით აშანტაჟებდნენ და აიძულებდნენ, ზოგი მათგანი საერთოდ არ მისულიყო ყრილობაზე, ხოლო ნაწილს მხარი არ დაეჭირა ფედერაციის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცებისთვის.

ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით გამგეობაში შემოვიდა წერილობითი და ზეპირი ფორმის მოთხოვნები, რომ აღნიშნული ზეწოლის ფაქტების გამო რიგგარეშე ყრილობა გადაიდოს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე და შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

„ყრილობისთვის მიუღებელი და აუტანელი გარემოს შექმნის გამო საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გადაიდოს“. ამის შემდეგ ლიპარტელიანმა, რატიშვილმა და მათმა მომხრე დელეგატებმა (13 დელეგატი) ყრილობა დატოვეს, ხოლო მოწინააღმდეგენი (18 დელეგატი) დარბაზში დარჩნენ. სულ დასწრების უფლება 32 დელეგატს ჰქონდა. აქედან მანდატი ვერ მიიღო რუსთავის სასპორტო სკოლის წარმომადგენელმა, ვეტერანმა კალათბურთელმა ოთარ ფაიქრიძემ.

დარბაზში დარჩენილმა დელეგატებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მათზე არავითარ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. რადგან ქვორუმი ხელს უწყობდათ, დარბაზში დარჩენილმა დელეგატებმა ყრილობის გაგრძელება გადაწყვიტეს. დელეგატებმა ყრილობის თავმჯდომარედ საკალათბურთო კლუბ „ოლიმპის“ წარმომადგენელი, კლუბის ტექნიკური დირექტორი ლევან გეგეშიძე, ხოლო მდივნად თსუ-ს წარმომადგენელი, პროფესიით იურისტი გიორგი ანთაძე აირჩიეს.

ყრილობამ სამდივნო და სამანდატო კომისიის წარმომადგენლებიც აირჩია. შემდეგ დღის წესრიგიდან ამოიღეს სხვადასხვა საკითხები, გამგეობის მიერ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცებაზე უარი განაცხადეს და ახალი პროექტის შესამუშავებლად 5-კაციანი კომისია დაასახელეს. აღნიშნულ კომისიაში შევიდნენ: გვანცა ომიაძე, დავით საყვარელიძე, გიორგი ანთაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი დავით ქვრივიშვილი. მეხუთე წევრად მერაბ რატიშვილი დაასახელეს. თუ რატიშვილი კომისიაში მუშაობაზე უარს განაცხადებს, ახალ რედაქციაზე ზემოთ ნახსენები ოთხეული იმუშავებს. ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მომავალ პრეზიდენტს ორი ოთხწლიანი ვადით ექნება არჩევის უფლება.

„შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელიც გაითვალისწინებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შენიშვნებს და, აღნიშნულიდან გამომდინარე, მიიღებს წესდებაში ცვლილებებს. თუ ვინმე თვლის, რომ დღევანდელი ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უკანონოა, შეუძლია პროტესტი გამოთქვას და ნებისმიერ ორგანიზაციას მიმართოს“, — განაცხადა გეგეშიძემ.

უჩვეულო ყრილობის შესახებ კომენტარი ბესიკ ლიპარტელიანმა და მერაბ რატიშვილმაც გააკეთეს.

ბესიკ ლიპარტელიანი:

— ოთარ ფაიქრიძემ რატომ ვერ მიიღო კუთვნილი მანდატი?

— იმ ორგანიზაციას, რომელსაც ფაიქრიძე წარმოადგენს, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის დავალიანება აქვს და, გამგეობის გადაწყვეტილებით, ყრილობის მანდატი ამიტომ ვერ მიიღო.

— რა აზრის ხართ ყრილობის გაგრძელების შესახებ?

— ყრილობა არ დაწყებულა და საიდან უნდა გაგრძელებულიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ყრილობა ფიქტიურია.

— ყრილობაზე დარჩენილი დელეგატების გადაწყვეტილებით, ქვორუმი (31-დან 18 დელეგატი) შედგა და ყრილობა ამიტომ გაგრძელეს...

— ამ დღეებში შეიკრიბება გამგეობა და დღეს მომხდარი მოვლენების შესახებ გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ.

— თქვენ თუ მიიღეთ მითითება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ წესდებაში შესატანი ცვლილებების შესახებ?

— სპორტის სამინისტრომ მოგვმართა, რომ „კალათბურთელთა კავშირთან“ ერთად გვემუშავა ახალ წესდებაზე. ჩვენი და მათი იურისტები რაღაცაზე შეთანხმდნენ და რაღაცაზე — ვერა.

— საბოლოოდ თუ შეთანხმდით?

— ვერ შევთანხმდით და ამიტომაც გადავწყვიტეთ ყრილობის გადადება. აქვე მინდა განვაცხადო: „საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ კალათბურთელებმა და კალათბურთის სამყარომ. ამიტომ, სამინისტრო იქნება, საკრებულო, გამგეობა თუ გუბერნია, კალათბურთის ოჯახში ხელს ნუ აფათურებენ“.

მერაბ რატიშვილი:

— დღევანდელი ყრილობის გადაწყვეტილებით, თქვენ იმ ნკაციანი მუშა ჯგუფის წევრი იქნებით, რომელიც ახალ წესდებაზე იმუშავებს. თანახმა ხართ იმუშაოთ ამ ჯგუფში?

— არ ვიცი, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება, რა ერქვა და რა ორგანიზაციის სხდომა იყო ეს. იმიტომ, რომ ყრილობა არ ჩატარებულა, აპელირება იმაზე, რომ ეს იყო საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყრილობა, არასწორია. მე არანაირი ინფორმაცია არ მაქვს და რომც მქონდეს, გადაწყვეტილებას ასეთ საკითხებზე პირადად არ ვიღებ. როგორც გამგეობის წევრი და გენერალური მდივანი, მე ვემორჩილები ფედერაციის გადაწყვეტილებას.

შეგახსენებთ, რომ ბესიკ ლიპარტელიანი 12 წელია საქართველოს კალათბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობს. 12 წლის შემდეგ კალათბურთის სამყარო ორად გაიყო. უახლოეს მომავალში შევიტყობთ, თუ ვინ დარჩება გამარჯვებული.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

რევანში, ოლონდ ცინცინატიში

23 წლის თბილისელი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი, რომელიც მსოფლიო რეიტინგით 112-ეა, ცინცინატის (აშშ) საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 2.369.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება. სტარტზე ანამ სამ სეტში სძლია 30 წლის ჩინელ ჟიე ჟენს (რეიტინგში — 56-ე) 5:7, 6:1, 6:2, მეორეში კი 42 წლის კიმიკო დატე-კრუმი (რეიტინგში 63-ე) საათნახევარში დაამარცხა — 6:3, 6:4. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელთან წლეულს სიდნეიში ჩვენს თანამემამულეს 3:6, 0:6 ჰქონდა წაგებული და რევანში აიღო. ამ გამარჯვებით ტატიშვილმა ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა.

ლაშა დიდია

კვიცი — გვარზე

ცნობილი ქართველი ჩოგბურთელის გურამ თოხაძის შვილიშვილი შოთა მეფარიძე ამჟამად დეიდის — ეკა თოხაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. წლეულს მან 18-წლამდელთა შეჯიბრებებში იყოჩაღა: ერთეულთა თანრიგში თანატოლთა შორის ეგვიპტის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, წყვილებშიც ალექსანდრე ბაკშისთან ერთად ყველას აჯობა, მსგავს წარმატებას მიაღწია ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაშიც.

და აი, გასულ უქმეებზე კვლავ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე: ერევანში 18-წლამდელ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე მეფარიძემ ზედიზედ ხუთ მეტოქეს სძლია, ნახევარფინალში რუსეთის სახელით მოთამაშე სვიატოსლავ შაჰინიანს დააყრევინა ფარ-ხმალი — 6:1, 6:1, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში გერმანელი ფონინ ბროსკა დაჯაბნა — 6:0, 6:4.

შოთა მეფარიძე ამჟამად თანატოლთა შორის მსოფლიო კლასიფიკაციაში 72-ეა და წლის ბოლომდე 64 საუკეთესოში თუ შევა, გაისად ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე 18-წლამდელთა ძირითად ბადეში მოხვდება.

ქართველი ჩოგბურთელი დღეიდან ერევნის ახალ საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება.

გივი გაგუა

◎ თიანეთობა

დღესასწაული ფალავნობამაც დაამშვენა

ყოველწლიურად ზეიმით აღინიშნება სახალხო დღესასწაული „თიანეთობა“. ამჯერადაც უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. სხვა ღონისძიებებთან ერთად სპორტული შეჯიბრებებიც გაიმართა დოღში, მკლავჭიდსა და ფეხბურთში. ყველაზე მეტი ქომაგი იმ დღეს გახსნილ ახალ არენას ეწვია ქართული ჭიდაობის საყურებლად. გამარჯვებულები და პრიზიორები ოთხ წონაში გამოვლინდნენ.

60 კგ. 1. გიორგი მეტრეველი (ხაშური), 2. გიორგი მესაბლიშვილი (ახმეტა), 3. ლაშა ჩადუნელი (ხაშური).

70 კგ. 1. ზურაბ ნოზაძე (ხაშური), 2. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი). 3. ვასილ კანკავა (ხაშური). ადგილობრივმა მოჭიდავეებმა 80 კგ. და მძიმე წონაში გამოიჩინეს თავი, თუმცა პირველ ადგილზე აქაც ვერ გავიდნენ.

80 კგ. 1. გიორგი მახარაშვილი (მცხეთა), 2. გიორგი ბიჩელაშვილი (თიანეთი), 3. კახა მამულაშვილი (კასპი).

მძიმე წონა. 1. შავლეგო ბერუაშვილი (ქარელი), 2. პაატა ღვინიაშვილი (გორი) 3. ვასო იარაჯული (თიანეთი).

ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ფულადი ჯილდოები გადასცა. ფალავანთა პაექრობებს საქართველოს პარლამენტში თიანეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი ესწრებოდნენ.

ქართულ ჭიდაობაში მორიგი შეჯიბრება მომავალ უქმეებზე სოფელი ხოვლეში (კასპის რაიონი) გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

XXV ეროვნული ჩემპიონატის I ტური. „დინამო“ – „ზესტაფონი“ 2:1, „სიონი“ – „დილა“ 1:2, „ტორპედო“ – „მეტალურგი“ 1:1, „ვიტ ჯორჯია“ – „გურია“ 3:0, „ბაია“ – „ჩიხურა“ 1:3, „მერანი“ – „ცხინვალი“ 2:1

* * *

გერმანიის ბუნდესლიგის I ტური.
„ბაიერნი“ – „გლადბახი“ 3:1, „აუგსბურგი“ – „ბორუსია“ 0:4, „შალკე“ – „ჰამბურგი“ 3:3.

საფრანგეთის პრემიერდივიზიონის I ტური.
„მონპელიე“ – „პარი სენ–ჟერმენი“ 1:1, „ლიონი“ – ნიცა“ 4:0, „გენგამი“ – „მარსელი“ 1:3, „ბორდო“ – „მონაკო“ 0:2.

ინგლისის სუპერთასი. „მანჩესტერი“ – „უიგანი“ 2:0.

გიორგი ზოთაძე

◎ ეს საინტერესოა

ევროპის ლიგა და ფინანსები - სად რამდენი...

უეფამ დაწვრილებითი ინფორმაცია გამოაქვეყნა ევროპის ლიგაზე მონაწილე კლუბებისთვის თანხის გადაცემის შესახებ. საერთო ჯამში კლუბები 208,75 მილიონ ევროს მიიღებენ.

ჯგუფურ ეტაპზე მონაწილე თითოეული კლუბი 1,3 მილიონი ევროთი გამდიდრდება. ცალკე, მოგებაზე დაერიცხებათ 200 000, ხოლო ფრეზე – 100 000. ამასთან, ჯგუფიდან გასულებზე: პირველ ადგილზე გასულები 400 000-ს მიიღებენ, მეორეადგილოსნები კი – 200 000-ს.

1/16 ფინალში გასული გუნდები დამატებით 200 000 ევროს მიიღებენ, მერვედფინალში გასულები – 350 000-ს, მეოთხედფინალში გასულები – 450 000-ს, ნახევარფინალისტები – 1 000 000-ს, ფინალისტები – 2 500 000-ს, ხოლო თასის მფლობელი – 5 000 000-ს. ასე რომ, ლიგის გამარჯვებული სულ 9,9 მილიონ ევროს მიიღებს.

ახლა იმ გუნდებზე, რომლებიც საკვალიფიკაციო ეტაპებს ვერ სცდებიან. ნებისმიერი მონაწილე 120 000 ევროს მიიღებს (მხოლოდ მონაწილეობისთვის, ეტაპიც რომ ვერ გაიაროს). მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასულ გუნდებს 130 000 დაერიცხებათ (მხოლოდ მონაწილეობისთვის, ეტაპიც რომ ვერ გაიაროს). მესამე ეტაპზე – 140 000 ევროს.

ახლა კი, როგორც იცით, პლეი ოფის მატჩები ახლოვდება და იქ გავარდნილი გუნდებიც კი 150 000-ს მიიღებენ.

შეხსენებისთვის, პლეი ოფში

გორის „დილას“ მეტოქე ვენის „რაპიდია“, ხოლო თბილისის „დინამოსი“ – ლონდონის „ტოტენჰემი“. ახლა თავად განსაჯეთ, რამდენად დიდია ფინანსური მოგება ჯგუფში შესვლაზე. შესაძლოა, ეს არაფერია ბობოლა კლუბებისთვის, მაგრამ ქართულებისთვის დიდი თანხაა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

ზეიკი და რონალდუ ქორწილისთვის ემზადებიან

სახელგანთქმული პორტუგალიელი ფეხბურთელი, „რეალის“ ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ და ულამაზესი მოდელი ირინა შეიკი შესაძლოა დაქორწინდნენ. ჟურნალისტებმა შეიკი მაიამის პრესტიჟულ სანაპიროზე თავის აგენტთან ერთად დააფიქსირეს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ირინა ამერიკაში საქმეების მოსაგვარებლად იყო ჩასული. ის და მისი საქმრო რონალდუ ეგზოტიკურ კუნძულ პორტო-სანტოზე ქორწილს გეგმავენ და სტუმრებს მოსაწვევები უკვე დაუგზავნეს. კრიშტიანუს ისე მოწონებია ეს ეგზოტიკური კუნძული, რომ ინვესტორების ჯგუფთან ერთად ფეშენებელურ სასტუმროს აშენებს.

როსტომ რაჭველიშვილი

სანთელი

გამოთხოვება თამაზ გოგავასთან

მძიმე დროში ვცხოვრობთ, საქართველოში სიკვდილის შიშიც კი აღარ არის. თითქოს „შევეჩვიეთ“ მის ხშირ „სტუმრობას“. ბევრი წავიდა ოჯახის წევრებიდან, სამეგობროდან, მშობლიური ქალაქიდან, წავიდნენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ დატოვეს სახელი, სსოვნა, რომელიც მუდმივად სატარებელია და სახსოვარია ჩვენთვის.

ამ ფონზე თითქოს აღარაფერი შეძრავდა ადამიანების გულს, მაგრამ სულ სხვა განცდა და ტკივილია ახლა ჩვენს სამეგობროში. ვერ ვიჯერებთ, რომ ჩვენმა თამაზმა, ჩვენმა თამაზ გოგავამ ამქვეყნიურ სამყაროში ცხოვრება დასრულა...

წლებმა დაგვაკავშირა, წლებმა გამოსცადა ჩვენი ძმობის და თანადგომის უნარი, თამაზი შეუდარებელი იყო. მას ისე არავინ იცნობდა, როგორც ჩვენ, მეგობრები. თამაზი არ იყო ჩვეულებრივი, სტანდარტული ადამიანი და ეს საქართველოს საზოგადოებრიობის უდიდესმა ნაწილმა იცოდა.

ჩვენო საყვარელო თამაზ, ვისაც შენი კაცობა და მეგობრობა ახსოვს, ვისაც შენი ჭირისა და ლხინში გვერდით დგომა გამოუცდია, შეუძლებელია, გული არ სტკენოდა შენი გარდაცვალების გამო.

ჩვენო ძვირფასო თამაზ! შენ სამაგალითოდ განვლე ცხოვრება ამ წუთისოფელში. გულდასაწყვეტია, რომ შენისთანა კაცები გვაკლდებიან! რას ვიზამთ, ღვთის ნებაა!

ნათელი დაგადგეს ჩვენო ძვირფასო, საყვარელო ძმაო და მეგობარო.

მეგობრები:

თემურ გიორგობიანი, ჯუმბერ პატიაშვილი, ანზორ ახვლედიანი, რესან კონცელიძე, ელიზბარ ჯაველიძე, რამაზ გოგლიძე, თემურ კორძაია, ელიზბარ ლომინაძე, მიშა გოცირიძე, ოთარ ცინცაძე, დიზი სურგულაძე, თამაზ გამცემლიძე, ირაკლი მეგრელაძე, ალეკო ჩხეიძე, გურამ თელია, მერაბ ნიკოლაიშვილი.

გარდაიცვალა გრიგოლ (თამაზ) გოგავა

გრიგოლ გოგავა დაიბადა ცნობილი მშენებლის გრიგოლ გოგავას ოჯახში 1937 წლის 4 დეკემბერს. 1956 წელს დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, სწავლა გაგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც 1961 წელს დაამთავრა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით.

იმავე წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

1968 წელს ინიშნება „საქმთავარენერგოს“ სპეციალიზებულ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსად, შემდეგ 17 წლის მანძილზე მუშაობდა ამ ტრესტის მმართველად. 1988 წლიდან იყო „საქენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილე. 1967-88 წლებში არჩეული იყო თბილისის მშრომელთა დეპუტატების ოქტომბრისა და კიროვის რაიონების სხვადასხვა მოწვევის საბჭოების დეპუტატად, საქალაქო საბჭოს დეპუტატად, საქ. კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომის წევრად.

ამ პერიოდში ატიურად მონაწილეობდა ქალაქში მიმდინარე არაენერგეტიკული უწყების საცხოვრებელი სახლებისა და კულტურული ძეგლების მშენებლობაში. სახელდობრ, ხელმძღვანელობდა დედა ენის, პეტრე ბაგრატიონისა და გიორგი სააკაძის ძეგლების მშენებლობას.

1991 წელს დაინიშნა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მინისტრად, 1992 წელს – საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრის პირველ მოადგილედ, 1993 წელს – საქ. მინისტრთა საბჭოს სათბობ-ენერგეტიკის განყოფილების უფროსად, 1995 წელს – სათბობ-ენერგეტიკის კორპორაციის ვიცეპრეზიდენტად, დეპარტამენტის უფროსად.

1996 წლიდან პენსიაზე გასვლამდე იყო სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს პერსპექტიული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი.

იყო საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, დაჯილდოებული იყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლითა და 1985 წლის „საუკეთესო მშენებლის“ საკავშირო კონკურსის ოქროს მედლით, მედლებით „შრომის ვეტერანი“ და „სანიმუშო შრომისთვის“, საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენებით.

თბილისს კიდევ ერთი კოლორიტი, ბუმბერაზი, საამაყო პიროვნება დააკლდა, მის მეგობრებს კი მისი – თამაზ გოგავას – უანგარო დახმარება, კეთილი ღიმილი და წრფელი გული.

მეგობრები

მეუღლე ზაირა რთველიაშვილი, შვილები ნინო, თათა გოგავები, სიძე ზურაბ გუდავაძე, შვილიშვილი გიორგი გუდავაძე, და მარინა გოგავა, რძალი ნუნუ ნიბლაძე, სიძე რამაზ მაყაშვილი, ძმისწულები გია, იკა გოგავები, რძლები ნინო ლომაია, ნინო საბაშვილი, დისწულები ეკა მაყაშვილი, იკა მაყაშვილი, სიძე ნიკო ნებიერიძე, მარინა რთველიაშვილი, თინა არაბიძე, ანა დონაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ გოგავა

გამოსვენება 13 VIII, 15 სთ. მისამართი: ირაკლი აბაშიძის №10 I სადარბაზო, მე-5 სართული.

მედეა ჩიკვაიძე, ელიზბარ ლომინაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ღირსეული ადამიანის

თამაზ გოგავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მწუხარებაში მყოფ მეუღლეს ზაირა რთველიაშვილ-გოგავას და მის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

ვადაგასული ქათმები - ფოთში

„ფოთის პორტის“ საბაჟო გამშვებ პუნქტზე ბრაზილიიდან იმპორტირებული 2196 კგ. გაყინული ქათამი ვადაგასული აღმოჩნდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, ვადაგასული პროდუქტი ვეტერინარმა ოფიცერმა, ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო პროცედურების განხორციელებისას აღმოაჩინა.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილების თანახმად, ვადაგასული საქონელი უკან გაბრუნებას ან განადგურებას ექვემდებარება.

ინტერპრესი

საქართველოს შსს-ს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური სამძიმარს უცხადებს ბატონ მალხაზ ურთქმელიძეს დედის ქალბატონ

ლეილა ამაშუკელ-ურთქმელიძის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77;

599 32-85-76.

◎ ტესტი

რამდენად შურიანი ხართ?

ბრძენმა ბრძანა: „არ არსებობს მანკი, რომელიც ისეთ ზიანს აყენებდეს ადამიანების კეთილდღეობას, როგორც შური, ვინაიდან ისინი, ვინც ამ სენით არიან დაავადებული, არა მხოლოდ აწბილებენ საკუთარ თავს, არამედ ანაღვლიანებენ სხვების სიხარულსაც“. თუ ემორჩილებით ამ მანკს, გვიჩვენებს ტესტი.

ამისთვის უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს, დაუწერეთ საკუთარ თავს 2 ქულა დადებითი პასუხისათვის, უარყოფითი პასუხისათვის ქულები არ იწერება.

1. გაღიზიანებთ, რომ ვიღაცას თქვენ გარშემომყოფთაგან აქვს დიდებული ბინა ან ძვირადღირებული ავტომობილი?
2. თუ ყოფილა შემთხვევა, დაფიქრებულხართ, რომ თქვენ უფრო იმსახურებთ დაწინაურებას სამსახურში ვიდრე ის, ვინც დააწინაურეს?
3. იწვევს თქვენში ცხოველ ინტერესს თქვენი მეგობრებისა და ნაცნობების ხელფასები?
4. ეთანხმებით იმას, რომ დღეს მხოლოდ შენი ინტელექტითა და შრომისმოყვარეობით შეუძლებელია გამდიდრება?
5. გაქვთ ჩვევად, შეადაროთ თქვენი მეორე ნახევარი თქვენი მეგობრის მეორე ნახევარს?
6. გაღიზიანებთ, რომ თქვენი მეგობრების შვილები თქვენ შვილებზე უკეთ სწავლობენ?
7. როდესაც დაინახავთ, რომ ვიღაცამ ლატარიაში ან სატელევიზიო შოუში მოიგო თანხა, თუ გიჩნდებათ სურვილი — ჩაერთოთ თქვენც თამაშში?
8. თუ გიჩნდებათ ზოგჯერ გრძნობა, რომ თქვენს ნაცნობებთან შედარებით თქვენ უიღბლო ხართ?
9. თუ დაინახავთ, რომ მეგობარს აქვს იშვიათი ან ორიგინალური ნივთი, გიჩნდებათ სურვილი შეიძინოს თქვენც ასეთი რამ?
10. თუ გიფუჭდებათ განწყობილება, როდესაც სტუმრად მიდიხართ და ხედავთ, რომ ვიღაც თქვენზე უკეთ არის ჩაცმული?
11. იზიარებთ აზრს, რომ შური აიძულებს ადამიანს, შეუტიოს ახალ სიმაღლეებს და რომ უამისოდ შეუძლებელია წინსვლა?
12. თუ ხდება ხოლმე, რომ არ გიხარიათ მეგობრების წარმატებები?
13. თუ ვინმე თქვენი ნაცნობი დასასვენებლად მიდის თბილი ზღვის ქვეყნებში, ძალიან გინდათ მოიქცეთ თქვენ ასევე?
14. ეთანხმებით მტკიცებას: „ნუ გშურს იმის ბედი, ვისიც არავის შურს“?
15. მიგაჩნიათ, რომ მფარველობის გარეშე შეუძლებელია პრესტიჟულ და მაღალი ანაზღაურების სამუშაოზე მოწყობა?

შეაჯამეთ ქულები და გააკეთეთ დასკვნები

0-10 ქულა. ალბათ, თქვენ აითვისეთ მარტივი ჭეშმარიტება: თუ არ გინდა იტანჯებოდე, ნუ იქნები შურიანი. თქვენ გირჩევნიათ, გიხაროდეთ ცხოვრება, ტკბებოდეთ იმით, რაც გაქვთ, და არ ნაღვლობდეთ იმის გამო, რაც არ გაქვთ.

12-20 ქულა. თქვენს შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ სულ არ გაგაჩნიათ ეს მანკი. ყველაზე ხშირად, როდესაც ვიღაცის რაღაცა გშურთ, ამას თქვენ თეთრ შურს უწოდებთ, მაგრამ შურს რაც არ უნდა უწოდო, მაინც შურად რჩება. ეზოპე ამბობდა: „თუ ვინმეს უფრო მეტად უმართლებს, ვიდრე თქვენ, ნუ შეგშურდებათ მისი, არამედ გიხაროდეთ მასთან ერთად, და მისი წარმატება თქვენი გახდება“. ისწავლეთ, აღიქვათ გარშემომყოფთა წარმატებები, როგორც სტიმული — გახადოთ საკუთარი ცხოვრება უფრო უკეთესი.

22-30 ქულა. ხდება ხოლმე, რომ სხვისი გშურთ და ვერაფერს უხერხებთ თავს. არ ღირს თქვენი ძვირფასი დროის დაკარგვა ამ უბრალო რამისთვის, ვინაიდან სიბრძნე გვმოძღვრავს: „შურს არ აქვს დღესასწაული, მისი ალი კი მზაკვრულია და შეუძლია ყველაფრის ბოლომდე დაწვა“.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვახელებთან

ეს საგანგაშოა!

გაიმართა „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელების დახურული თათბირი, რომლის მონაწილეებმა დაასკვნეს, რომ აფხაზეთში საეკლესიო სიტუაციის განვითარება „აფხაზეთის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის“ შექმნის მიმართულებით, კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოს I-ის მონაწილეობით, საბოლოო ჯამში ქვეყნის გაერთიანებასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლების ინტერესებს შეესაბამება. ამასთან დაკავშირებით დაისახა ამ პროცესის მხარდაჭერის ღონისძიებები. მიხეილ სააკაშვილმა „საიდუმლო სერობაზე“ გამოაქვეყნა ინფორმაცია ვაშინგტონური წყაროებიდან იმის შესახებ, რომ „აფხაზეთის ავტოკეფალიის ჩამოყალიბების პროცესით გავლენიანი რესპუბლიკელი სენატორები — ჯონ მაკკეინი და ჯასტინ ემაში არიან დაინტერესებულნი“.

„ასავალ-დასავალი“

„მარგველაშვილის მთავარი მეტოქე ბურჯანაძე იქნება“

— მიაჩნია უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატს, პროფესორ ლადო პაპავას, — მე ასევე არ გამოვრიცხავ გარკვეულ გაბრძოლებას დავით ბაქრაძის მხრიდან. ნაციონალურ მოძრაობას ეყო გონიერება და საპრეზიდენტო კანდიდატად წარმოადგინა საზოგადოებისთვის ნაკლებად გამაღიზიანებელი კანდიდატი, ამიტომ მათი გათვლა იმაზეა აგებული, რომ თავისი მხარდამჭერი ამომრჩეველი ერთიანი, შეკრული გუნდის სახით იქნება, ეს ამომრჩეველი მივა არჩევნებზე და თავის მაქსიმუმს, არ ვიცი, ეს 10-15 თუ 20 პროცენტი იქნება, აიღებს. რაც შეეხება ბურჯანაძეს, ის, პრაქტიკულად, ხმებს მარგველაშვილს ართმევს, იმიტომ, რომ ისინი ორივენი არიან ნაცმოძრაობის მოწინააღმდეგენი.

„ახალი თაობა“

რა ურჩია ილია მეორემ ბიძინა ივანიშვილს?!

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ცნობას დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ამის შესახებ პატრიარქსა და პრემიერს არაერთხელ უსაუბრიათ, პატრიარქს უთქვამს, შენ შანსი გაქვს ქვეყანა ფეხზე დააყენო, სწორი გზით წაიყვანო, ხალხს ჩაკლული ეროვნული ღირსება აღუდინო და ამ შანსს ხელიდან ნუ გაუშვებო. იმასაც შეჰპირებია, ამ საღვთო და საერო საქმეში მე და მთელი ქართული ეკლესია გვერდით დაგიდგებითო... თუ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებას მიიღებს, მას ჯერ პატრიარქის დარწმუნება მოუწევს იმაში, რომ პოლიტიკის მიღმა იმაზე მეტ და სასარგებლო საქმეს გააკეთებს ქვეყნისთვის, ვიდრე პოლიტიკაში ყოფნით აპირებდა.

„ძრონიკა“

„თუ ეს პროცესი განხორციელდა, ზემო რაჭა აღარ იარსებებს“

— აღშფოთებულია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ლიდერი გია გაჩეჩილაძე, — ონის რაიონში მდინარე რიონის მონაკვეთზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის აშენების შემთხვევაში, ზემო რაჭის სოფლებს დატბორვა და მოსახლეობისგან დაცლა ემუქრება, — ამბობს იგი. თუმცა, ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არაა, სამინისტროს პოზიციაა, მოიძებნოს ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მინიმიზებული იქნება მოსახლეობაზე და გარემოზე უარყოფითი გავლენა (არ იყოს საჭირო მოსახლეობის გადასახლება) და გათვალისწინებული იქნება მდინარის პოტენციალის ათვისების ოპტიმალური ვარიანტი.

„რეზონანსი“

◎ ვებრძოლოთ სიმსივნეს

მელანომა ციფრებსა და ფაქტებში

მელანომა — ესაა ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ვითარდება პიგმენტური უჯრედებისგან. ჩნდება კანზე, უფრო იშვიათად — თვალის ბადურაზე, ლორწოვან გარსზე.

ყოველწლიურად მსოფლიოში მელანომის დაავადების 200 000 შემთხვევის დიაგნოსტირება ხდება და 65 000 შემთხვევაში ადამიანი იღუპება, რაც ამ სიმსივნითაა გამოწვეული.

მელანომის განვითარების რისკი კანის ფოტოტიპთან არის დაკავშირებული. ეს დაავადება ყველაზე მეტად ემართებათ ადამიანებს I და II ფოტოტიპით, ისინი ვისი კანიც იწვება მზეზე ყოფნის 30 წუთის შემდეგ, და ისინი, ვისი თეთრი კანიც ძნელად იწვება.

მზისგან დაცვის კრემი — მელონამის მკურნალობის საუკეთესო საშუალებაა.

შემთხვევების 70 პროცენტში მელანომა ყალიბდება ფეხების, ზურგის, ხელებისა და სახის ზედაპირზე.

კანის კიბოს ყველა დაავადების მხოლოდ 4 პროცენტია მელანომა, თუმცა შემთხვევების 73 პროცენტში მას მივყავართ სწრაფ სიკვდილამდე.

კანის კიბოთი დაავადების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებია ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ამას ატმოსფეროში ოზონის ხვრელებს უკავშირებენ.

59 წელი — მელანომით დაავადებულთა საშუალო ასაკია. ამ დაავადებისგან ყველაზე ხშირად ხანდაზმული ადამიანები კვდებიან.

დაავადებულთა 50 პროცენტს მელანომა უჩნდებათ ფეხებზე, 20-30 პროცენტს — ტანზე, 10-15 პროცენტს ხელებზე და მხოლოდ 15-20 პროცენტს — კისერსა და სახეზე.

მელანომის შემთხვევების 50-დან 80 პროცენტამდე ჩნდება ხალების ადგილას.

ყველა მელანომის 15 პროცენტი კვანძოვანია (ნოდულარული), იგი იზრდება კანში, უფრო ხშირად გვხვდება მამაკაცებში და ყველაზე არახელსაყრელია პროგნოზის თვალსაზრისით.

ფრჩხილქვეშა მელანომა ყველაზე ხშირად გვხვდება ფერადკანიან ადამიანებში.

ადრეულ სტადიაში გამოვლენილი მელანომა იკურნება 100 პროცენტით.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მიმდინარეობს ოქროს ქორწილი. ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტი იუბილარისგან ინტერვიუს იღებს:

— როგორ მოახერხეთ, რომ ცოლთან 50-წლიანი თანაცხოვრებისას ერთხელაც არ გიჩხუბიათ?

— საქმე ის არის, რომ დაქორწინებისთანავე შევთანხმდით — როგორც კი კონფლიქტი მომწიფდებოდა, მე ტუალეტში გავდიოდი.

— მერე?

— რა მერე, აი, უკვე ორმოცდაათი წელია, რაც ტუალეტში ვზივარ.

* * *

— **შენ, რა თქმა უნდა, კარგი ბიჭი ხარ, — ეუბნება შეფი თანამშრომელს, — მაგრამ ჩვენს ფირმაში ასეთი თანამდებობა არ არსებობს.**

* * *

დადგენილია, რომ აინშტაინმა ფარდობითობის თეორია ცოლის წყალობით შექმნა: ერთხელ, როცა შინიდან უნდა გასულიყვნენ, მეუღლემ უთხრა — ერთ წუთში ვიქნები მზადო. არადა, ერთი საათის მერე აღმოჩნდა მზად...

* * *

საძართველოში ცოტას თუ მოიპარავ, მალე შეძლებ ბათუმისა და ანაკლიის მონახულებას, ბევრს თუ მოიპარავ — პარიზისა და ლონდონისა...

* * *

— **თეთრი ნახევრადმშრალი მომეცით, თუ შეიძლება!**

— **რა საჭიროა ირონიზება? ცოტა დასველდა თეთრი პური, რა მოხდა ისეთი?**

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მორიგე
პასუხისმგებელი
რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
299-62-77;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24